პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 41-ე წელი № 266 (11877) | ოთხშაბათი, 16 ნოემბერი, 1960 წ. | ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. ი. ლენინი მოსკოვის საბჭოს აივნიდან გამოდის მისალმებით კომუნისტ-მებრძოლების წინაშე, რომლებიც მიემგზავრებიან დენიკინთან საბრძოლველად. მოსკოვი, 1919 წლის 16 ოქტომბერი.

(საკადრის ფოტოქრონიკა).

კარგია!.. უნდა ამგოგდეს მომხმარებელი

ჩვენი მრეწველობის ყველა დარგის მუშაკები, ჩაბმული არიან შვიდწლიანი გეგმის მთლიანად და გაუჭარბებით შესრულებისათვის შეჯიბრებაში, ყოველთვე აღძიერებენ წარმოების ტემპს, ამარდიან პროდუქციის გამოშვებას. მავე დროს ისინი მტკიცედ იბრძვიან ნაკეთობათა ხარისხის გაუმჯობესებისათვის, თვითღირებულების შემცირებისათვის, მომჭირნეობის უმკაცრესი რეჟიმისათვის. ეს უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანაა. საწარმოთა პროდუქცია, იქნება ეს ფოლადი თუ თუჯი, ჩარხები თუ ტურბინები, ქსოვილები თუ ფეხსაცმელი, უნდა გამოირჩეოდეს დიდი სიმკვიდრითა და გარეგნული სილამაზით.

იმის მაგალითის, თუ როგორ უნდა ეუფრთხილდებოდეთ საქართველოს და საფბრიკო მარკის ღირსებას, გვიჩვენებენ ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე საწარმოები. საქართველოს საწარმოებში დამადებულმა ჩარხებმა, სხვადასხვა ანქანებმა, მსუბუქი და კვების მრეწველობის პროდუქციამ შორს გაითქვა სახელი. საწარმოებში მიის მადლობის წერილები, მარჯენას ულოცავენ იმათ, ვინც ასეთი მაღალი ხარისხის პროდუქცია შექმნა.

მაგრამ არის სხვაგვარი ფაქტებიც, რომლებიც მოწმობენ, რომ ბევრ საწარმოსა და მრეწველობის ცალკეულ დარგებში სერიოზულად შესუსტდა ყურადღება პროდუქციის ხარისხის საკითხისადმი. ამის შედეგად წუნით გამოწვეული დანაკარგი გაიზარდა. ბრალდება უსარისხო ნაწარმის გამოშვება. ცუდად არის, მაგალითად, პროდუქციის ხარისხის საქმე სამკერვალო და ტრიკოტაჟის ფაბრიკებში.

მიმდინარე წელს ხარისხის სახელმწიფო ინსპექციამ შეამოწმა თბილისის პირველი სამკერვალო ფაბრიკის მიერ გამოშვებული მამაკაცებისა და ქალების, ჭაბუკებისა და გოგონების პალტოები. დიდ უმრავლესობას აღმოაჩნდა მეკერვილობის სერიოზული ნაკლოვანებები, რის გამო მაღალი ხარისხიდან დაბალ ხარისხში გადაიყვანეს შემოწმებული პროდუქციის საერთო რაოდენობის 9,9 პროცენტი, ხოლო წარმოებას შეუკეთებლად უკან დაუბრუნეს მთელი საქონლის 5,6 პროცენტი. გარდა ამისა, წარმოება ხშირად არღვევს ასორტიმენტს, არ იცავს ზომებს. ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ მიმდინარე წლის ათ თვეში წუნდებული პროდუქციის გამო ფაბრიკამ საგაჭრო ორგანიზაციებს ჯარიმის სახით გადაუხადა 42. ათასი მანეთი, ხოლო სტანდარტისა და ასორტიმენტის დარღვევისათვის მზა ტანსაცმლის საბითუმო ბაზამ ფაბრიკას ჯარიმის სახით წარუდგინა 120 ათას მანეთზე მეტი.

წუნის მკეთებელთა „შეჯიბრებაში“ განსაკუთრებით დაწინაურდა ქუთაისის მე-8 სამკერვალო ფაბრიკა. პროდუქციის ხარისხს აქ არავითარი ყურადღება არ ექცევა. ამაზე ნათლად ლაპარაკობს ასეთი ფაქტი: ხარისხის სახელმწიფო ინსპექციამ შეამოწმა მამაკაცის 750 ზედა პერანგი და მოხმარებისათვის ყველა უვარგისი გამოდგა, პროდუქცია მთლიანად უკან დაუბრუნდა წარმოებას. ფაბრიკამ 10 თვეში წუნდებული პროდუქციისათვის საგაჭრო ორგანიზაციებს ჯარიმის სახით 32 ათასი მანეთი გადაუხადა. უხარისხობის გამო მომხმარებელი ასევე ნაკლებად ეტანება ქუთაისის მეოთხე და ბათუმის მეხუთე ფაბრიკების მიერ გამოშვებულ პროდუქციას.

მთელი რიგი საწარმოები ნელა აჩაღებენ სეზონური ასორტიმენტის ნაკეთობათა წარმოებას, ცუდად უწევენ ანგარიშს მომხმარებელთა მოთხოვნილებას. ამის შედეგად ბევრი საქალაქო და სასოფლო მაღაზია შეფერხებებით ვაჭრობს. თბილი ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და სხვა საქონლის არჩევანი არ არის საკმარისი.

თბილისის ფეხსაცმლის მაღაზიებში იშვიათად ნახავთ ქალის მაღალქუსლიან ზამთრის ტუფლებს. ეს ფაქტი იმას მოწმობს, რომ თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკები კვლავ განაგრძობენ საზაფხულო ფეხსაცმლის გამოშვებას, დაივიწყეს მომხმარებლის მოთხოვნილება, მხედველობიდან გამორჩათ ზამთრის მოახლოება.

განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა სამავშვო საქონლის მხრივ. მაღაზიებში არ იშოვნება ბავშვის ყველა ზომის ყელიანი წაღები, თუ სადმე გამოჩნდა ისიც უხარისხოა და მომხმარებელთა კანონიერ უკმაყოფილებას იწვევს. თუ მომხმარებელი თვეობით ეძებს ბავშვის ზოგიერთ ნომერ ფეხსაცმელს, სამაგიეროდ „ბავშვთა სამყაროში“ 3 წლის ბავშვის ფეხსაცმელი თვეობით აწყვია, იგი არ იყიდება იმის გამო, რომ ძალზე უხეშია, მძიმეა, ხოლო მისი გარეგნული ფორმა ყოვლად ულამაზოა.

სახალხო მოხმარების საქონლის საწარმოთა მუშაკების გადაუდებელი ამოცანაა მიიღონ ყველა ღონისძიება იმისათვის, რომ სწრაფად გაადიდონ სეზონური ნაწარმის გამოშვება მომხმარებელთა ხელოვნებას. მზიური რესპუბლიკის ტალანტების დღესასწაული ერთსა და იმავე დროს მიმდინარეობს ქალაქის სხვადასხვა კუთხეში.

ლამაზად არის მორთული დედაქალაქის ცენტრალური საგამოფენო დარბაზის ფასადი. შესასვლელთან 4 მეტრიანი ქანდაკებაა — უკრაინელ ქალს ხელში უჭირავს პურ-მარილი და თითქოს იწვევს მოსკოველებს ნახონ სამხატვრო გამოფენა „საბჭოთა უკრაინა“. 13 ნოემბრის დღისით აქ

ზეიმი კაშინოში

კაშინი (ვოლოკალამსკის რაიონი, მოსკოვის ოლქი), 14 ნოემბერი. (ხაკდესი).

— ეს იყო ორმოცი წლის წინათ, კრემლში სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ვ. ი. ლენინს მოუვიდა მოსკოვის გუბერნიის ვოლოკალამსკის მაზრის სოფელ კაშინოს გლეხების წერილი, რომლებმაც პირველად აიგეს ჩვენს ქვეყანაში სასოფლო ელექტროსადგური.

— „14 ნოემბერს — ნათქვამია იყო წერილში, — სოფელ კაშინოში პირველად აინთება ელნათურები და ამის გამო უმორჩილესად გთხოვთ ჩამოხვიდეთ და გაიზიაროთ ეს სიხარული, რასაც ჩვენ ვგრძნობთ გლეხთა ქოხების ელექტროგანათების გამო, რაზე ფიქრიც კი არ შეეძლოთ გლეხებს მეფეთა ხელისუფლების დროს...“

დიდი იყო გლეხების სიხარული, როცა 1920 წლის 14 ნოემბერს კაშინოში ჩამოვიდა ვ. ი. ლენინი ნ. კ. კრუპსკაიასთან ერთად. გულითადი საუბრის დროს დიდი ბელადი დაინტერესდა სოფლის საქმეებით, დაწვრილებით გამოკითხა, რას აკეთებენ ახლა გლეხები, როგორ უძღვებიან მეურნეობას საბჭოთა ხელისუფლების დროს.

გავიდა ორმოცი წელი... სადღესასწაულოდ გამოიყურება „ილიჩის ნათურის“ სამშობლო სოფელი კაშინო, ცენტრი გამსხვილებული კოლმეურნეობა „ილიჩის გზისა“, რომელიც აერთიანებს 12 სოფელს.

სრულ 14 საათზე საკოლმეურნეო კულტურის სახლში დაიწყო კოლმეურნეთა საზეიმო კრება, რომელიც მეეძღვნა კაშინოში ელექტროსადგურის ამუშავებისა და ვ. ი. ლენინის ჩამოსვლის ორმოცი წლისთავს. შეკრებილებმა ერთსულოვნად აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით.

ტრიბუნაზეა კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე ნ. მ. კორობანოვი. იგი ამბობს, რომ სასოფლო-სამეურნეო არტელი, რომელიც ახორციელებს ლენინის ანდერძს, წარმატებით წყვეტს დასმულ ამოცანებს. ახლა კოლმეურნეობის შემოსავალი ექვს მილიონ მანეთს აღემატება. ელექტრობა დამკვიდრდა არა მარტო კოლმეურნეთა ყოფაცხოვრებაში, არამედ საზოგადოებრივ წარმოებაშიც.

დიდი ყურადღებით მოუსმინეს შეკრებილებმა ილიჩთან შეხვედრის მონაწილეებს — ძველ კოლმეურნეს ივანე სტეფანეს-ძე ოშმარინს და ეფროსინე ოსიპის ასულ მალოფეევას.

საზეიმო კრებაზე გამოვიდნენ სკკპ ვოლოკალამსკის რაიკომის მდივანი ვ. კ. მესიაცი, სკკპ მოსკოვის კომიტეტის მდივანი ა. ხ. პანკრატოვი და სხვები.

კოლმეურნეობა „ილიჩის გზის“ წარმომადგენლებს გადაეცათ სკკპ რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის საპატიო სიგელები. ფასიანი საჩუქრები მიიღეს სოფლის მეურნეობის წარმოების მოწინავეებმა.

ჩვენი დიალ. საბჭოთაში

მღერის საბჭოთა უკრაინა

მოსკოვი, 14 ნოემბერი (საკდესი). მზოლოდ სამი დღე გავიდა, რაც დაიწყო უკრაინული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა, და უკვე ათეულ ათასობით მოსკოველი იყო თეატრებში, საგამოფენო და საკონცერტო დარბაზებში, კულტურის სასახლეებში, გაეცნო მოძმე ხალხის ხელოვნებას. მზიური რესპუბლიკის ტალანტების დღესასწაული ერთსა და იმავე დროს მიმდინარეობს ქალაქის სხვადასხვა კუთხეში.

ლამაზად არის მორთული დედაქალაქის ცენტრალური საგამოფენო დარბაზის ფასადი. შესასვლელთან 4 მეტრიანი ქანდაკებაა — უკრაინელ ქალს ხელში უჭირავს პურ-მარილი და თითქოს იწვევს მოსკოველებს ნახონ სამხატვრო გამოფენა „საბჭოთა უკრაინა“. 13 ნოემბრის დღისით აქ იყვნენ სოციალისტური ქვეყნების პარტიათა და მთავრობათა მთელი რიგი დელეგაციების და მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების დელეგაციათა ხელმძღვანელები და წევრები, რომლებიც მოსკოვს ჩამოვიდნენ ოქტომბრის 43-ე წლისთავის დღესასწაულზე.

მოსკოველები ბევრ მაღაზიაში გაიხსნა უკრაინული წიგნის კუთხეები. ქალაქის სხვადასხვა კუთხეში 25 მცირე კინოეკრანზე დილიდან საღამომდე უჩვენებენ კინომოთხრობას აყვავებულ უკრაინაზე, მის მშრომელ ხალხზე.

მოსკოველები დიდად აფასებენ ბალეტის უკრაინელ მსახიობთა ოსტატობას, აღტაცებული არიან უკრაინელი ხალხის ნიჭიერი წარმომადგენლებით — მოცეკვავეებით, მომღერლებით, მუსიკოსებით, ცირკის ოსტატებით. დეკადის მეორე დღეს საღამოს მაყურებელნი მჭუხარე ტაშით შეხვდნენ იმიერკარპატის ხალხური გუნდის კოლექტივს, ხარკოვის ტ. შევჩენკოს სახელობის დრამატული თეატრის მსახიობებს, რომლებმაც მაყურებელს უჩვენეს ხალხური დრამა „დაღუპული სიცოცხლე“ პ. მირნის რომანის მოტივების მიხედვით. დიდ თეატრში გრძელდება კიევის ოპერისა და ბალეტის თეატრის კოლექტივის გამოსვლები. აქ დიდდა ვ. გომოლაკის ბალეტი „შავი ოქრო“ — მოთხრობა უკრაინელი ახალგაზრდობის გმირულ დღეებზე. სასიამოვნო და ხალისიანი შეხვედრა გაიმართა მოსკოვის აკადემიურ სამხატვრო თეატრში, სადაც მოსკოველებმა ნახეს კიევის რუსული დრამატული თეატრის დადგმა — ა. ჩეხოვის პიესა „ძია ვანიო“.

უკრაინის ტალანტების დათვალიერება გრძელდება.

13 დეკემბერს მოწვეულია სკკპ ცკ-ის პლენუმი

როგორ ემზადებით?

ჩემი წვლილი

ჩვენს სამშობლოში შრომა დიდებით არის მოსილი. ჯერ კიდევ პატარობიხან, მოწაფეობის დროს შევიყვარე პლანტაციებში შრომა და ჩაის ფოთოლს ვკრეფდი. მალე დავეუფლე მოწინავეთა გამოცდილებას, რის შედეგადაც სახელოვანი მეჩაიე გავხდი.

საკუთარმა გამოცდილებამ დამანახვა, რომ ჩაის ხარისხოვანი და მაღალი მოსავლის მიღება, პირველ რიგში, იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ უვლი პლანტაციას, როგორ ახორციელებ იქ აგროდონისძიებებს, როგორ პირობებს უქმნი ჩაის ბუჩქს ლაღი ვეგეტაციისათვის.

სწორედ ასეთმა დაკვირვებულმა, ბეჯითმა შრომამ გამხადა სოციალისტური შრომის გმირად. ამ დიდი ჯილდოს პასუხად უფრო გავაძლიერე მუშაობა. მოსავლელად გამოყოფილ 0,5 ჰექტარზე მიმდინარე წელს მოვკრიფე 9.000 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, მაგრამ ეს ზღვარი როდია. ამ დღეებში სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმის შესახვედრად კიდევ უფრო მონდომებით ვშრომობ. ამთავითვე მტკიცე საფუძველს ვუყრი 1961 წლის უხვ მოსავალს: ჩაის პლანტაციას საგულდაგულოდ ვბარავ, შემაქვს მინერალური სასუქი, ვსპობ სიმეჩხრეს...

გადაწყვეტილი მაქვს საშემოდგომო-საზამთრო სამუშაოები დავამთავრო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მოწვევის დღისათვის. პირობას ვდებ, რომ შვიდწლედის მესამე წელს მოსავლელად გამოყოფილ ნახევარ ჰექტარ პლანტაციაზე მივიღო 10.000 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ნედლეული. ამით ჩემს წვლილს შევიტან მეტი ქართული ჩაისათვის ბრძოლაში.

მაყვალა ჯინჭარაძე,

ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის კოლმეურნეობის მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი.

ᲛᲐᲙᲛᲘᲚᲐᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ლონდონი, 15 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ სალამის ლონდონის მერთან გამართულ ყოველწლიურ ტრადიციულ ბანკეტზე გამოვიდა ინგლისის პრემიერ-მინისტრი მაკმილანი, რომელმაც განაცხადა, რომ დასავლეთმა უნდა განაგრძოს წინსვლა უმაღლესი დონის თათბირის გზით და იქონიოს „წარმატების საკმაო იმედი“.

„მე კვლავ მიმაჩნია, — თქვა პრემიერ-მინისტრმა, — რომ მთელი მსოფლიოს ხალხთა მისწრაფება მშვიდობისა და ურთიერთგაგებისაკენ გავლენას ახდენს და კვლავაც მოახდენს მათი მთავრობების მოქმედებაზე“. მაკმილანმა ილაპარაკა იმის შესახებ, რომ საჭიროა მოლაპარაკების გზით აღმოიფხვრას ყველაზე საშიში უთანხმობება აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. „ჩვენ კვლავ ყოველი საშუალებით უნდა ვცდილობდეთ შეინარჩუნოთ დაძაბულობა ორი ქვეყნის ურთიერთობაში, — განაცხადა მაკმილანმა. — ჩვენ მზად უნდა ვიყოთ იმისათვის, რომ მივაღწიოთ ურთიერთდათმობისა და ურთიერთგაგებას“.

თავისი სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი მან მიუძღვნა ინგლის-ამერიკის სამხედრო თანამშრომლობას და შეაქო რა პრეზიდენტ აიზენჰაუერის საქმიანობა, მოუწოდებდა დასავლეთის ქვეყნებს „შეამჭიდროონ თავიანთი ძალები“.

ᲚᲐᲝᲡᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲪᲓᲔᲚᲘ

ᲕᲐᲜᲘ, 15 ნოემბერი, საკდესის კორესპონდენტი ა. ხილანინი იუწყება: ლუანპრაბანის სამხედრო ამბოხებამ, რომელიც ამერიკელ იმპერიალისტებსა და ადგილობრივ ტალანტებს ანგარიშგასაწევ ძალად ექცევა, ლაოსში ფაქტიურად ორად გაყო. ამ ფაქტიურ ორად გაყოფილ ლაოსის ერთ-ერთ ნაწილში, ანუ ლუანპრაბანის ოლქში, ხელისუფლებაში მოვიდა ახალი მთავრობა, ანუ ეროვნული ერთიანობის ფრონტი, ანუ ეროვნული ერთიანობის ფრონტის ოლქი. ეროვნული ერთიანობის ფრონტი ოლქში ფაქტიურად ეროვნული ერთიანობის ფრონტის ერთადერთი ორგანიზაციაა, ეროვნული ერთიანობის ფრონტი ოლქში ფაქტიურად ეროვნული ერთიანობის ფრონტის ერთადერთ ორგანიზაციად ქცეულ ეროვნული ერთიანობის ფრონტ-ოლქ-ში ეროვნული ერთიანობის ფრონტ-ოლქ-ის ეროვნული ერთიანობის ფრონტ-ოლქ-ის ეროვნული ერთიანობის ფრონტ-ოლქ-ის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ДЕСЯТЬ ЛЕТ СПУСТЯ

ДЕСЯТЬ ЛЕТ СПУСТЯ

ДЕСЯТ წელი სრულდება მას შემდეგ, რაც გმირმა წითელმა არმიამ ჩვენი ქვეყნის ფაშისტებიდან განდევნა უცხოელ ინტერვენტთა უკანასკნელი აგენტი ვრანგელი და მათი ჯარები.

წითელმა არმიამ მთელ ხალხთან ერთად კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დაიცვა თავისი საგმირო ხელისუფლება და სამშობლოს დამოუკიდებლობა. მთელი მსოფლიოს იმპერიალისტებთან ორთაბრძოლაში გაიმარჯვა ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფომ.

1920 წლის აგვისტოში ყუბანის ხელში ჩაგდების მიზნით ვრანგელმა დიდი შენაერთი გადმოსხა ტამანის ნახევარკუნძულზე და ნოვოროსიისკში. საბჭოთა ხელისუფლებისათვის სამხრეთში კვლავ დაძაბული მდგომარეობა შეიქმნა.

თეთრგვარდიელთა დესანტის წინააღმდეგ მოქმედებდნენ მე-9 არმიის ნაწილები. რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მითითებით მიღებულ იქნა ზომები ამ არმიის რეზერვებით და პარტიულ-პოლიტიკური აპარატით განმტკიცებისათვის. არმიის პოლიტგანყოფილებაში **დანიშნულ** ახალ მუშაკებს შორის იყო **ნ. ს. ხრუშჩოვი**, არმიის პარტიული სკოლის კურსდამთავრებული.

საბჭოთა მეომრებმა შეუპოვარ ბრძოლებში უკუაქციეს ვრანგელის ნაწილები. უკვე სექტემბრის დასაწყისში სერგო ორჯონიკიძე ვ. ი. ლენინს აცნობებდა, რომ უუბანში ალარ არის არც ერთი ჯარისკაცი ვრანგელის დესანტიდან.

სურათზე: მონაწილენი კავკასიის ფრონტის მე-9 არმიის პოლიტშუშაკების თათბირისა, რომელიც **1920** წლის ოქტომბერში გაიმართა. მათ შორის პირველ რიგში (მარჯვნიდან მეოთხე) არმიის პოლიტგანყოფილების უფროსი დ. ა. ფურმანოვი. ფურმანოვს უკან დგას ნ. ს. ხრუშჩოვი. სურათი პირველად ქვეყნდება.

ДЕСЯТЬ ЛЕТ СПУСТЯ

ქართველეგი ცეცხლის წინაშე

ერთი მრავალთაგანი

ჯერ კიდევ ბევრი ქართველი გმირის სახელია დაფარული საისტორიო არქივის მტვრით. ერთი მათგანი მიხეილ (ჯიმშეთ) პავლეს-ძე ასათიანია. თავისი საბრძოლო დამსახურებით ასათიანი ჭეშმარიტად გვერდში უდგას ლეგენდარულ გმირს, „ციმბირის პაპას“ ნესტორ ალექსანდრეს-ძე კალანდარიშვილს.

მ. პ. ასათიანი დაიბადა 1886 წელს ოზურგეთის მაზრის სოფელ მთისპირში, ღარიბი გლეხის ოჯახში. პატარა მიხეილი სასწავლებლად სოფელ ასკანის სამრევლო სკოლაში მიაბარეს. მაგრამ ოჯახიდ სიღარიბის გამო იგი მალე იძულებული გახდა სკოლა დაეტოვებინა და მუშაობა დაეწყო ქ. ბათუმის მანთამშევის ქარხანაში.

1906 წლის მაისში ასათიანი პოლიციამ დაიპატიმრა და ქ. ბათუმის საპყრობილეში მოათავსა, სადაც 1906 წლის აგვისტომდე იმყოფებოდა. იმჯერად საქმე იმით დამთავრდა, რომ პოლიციამ ის ბათუმიდან გაიძევა. მიხეილი თავის სოფელში დაბრუნდა, მაგრამ სტოლიპინის რეაქციის პერიოდში პოლიციური დევნის გამო იძულებული გახდა თავის შესაფარებლად ქ. ირკუტსკში წასულიყო უფროს დასთან.

ქ. ირკუტსკში მ. პ. ასათიანი თავის თანასოფელ ნ. ა. კალანდარიშვილთან ერთად განაგრძობდა არალეგალურ რევოლუციურ მუშაობას. 1917 წელს ასათიანი რკპ (ბ) რიგებში შეივიდა.

1917 წლის 20 ნოემბერს ირკუტსკში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. 8 დეკემბერს იუნკრებმა საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად აჯანყება მოაწყეს. ბოლშევიკების პარტიამ მობილიზაცია უყო მთელ ძალებს იუნკერთა კონტრრევოლუციური აჯანყების გასანადგურებლად. გააფთრებული ბრძოლა ირკუტსკის ქუჩებში ცხრა დღეღამეს გაგრძელდა.

ირკუტსკის ქუჩებს სისხლი ჯერ კიდევ არ შეშრობოდა, რომ 1918 წლის 3 იანვარიდან იმპერიალისტური ინტერვენტების ბრძოლა — საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ დაიწყო კონტრრევოლუციის გამოსვლა იაპონიის იმპერიალისტის აგენტის, ატამან სემიონოვის მეთაურობით. სემიონოვის ბანდებთან საბრძოლველად ნ. ა. კალანდარიშვილმა პარტიის დავალებით 1918 წლის თებერვალში კავალერიის დივიზიონი ჩამოაყალიბა. ამ დივიზიონის ერთ-ერთ ესკადრონის უფროსად მ. პ. ასათიანი დაინიშნა. ესკადრონი მთელ დივიზიონთან ერთად 1918 წლის მარტში ქ. ირკუტსკიდან იმიერბაიკალის ფრონტზე გავიდა. 12 აპრილიდან დაიწყო შეტევა სემიონოვის თეთრი ბანდების წინააღმდეგ. ასათიანის ესკადრონმა მონაწილეობა მიიღო მწვავე ბრძოლებში: ონონთან, ლაცანესთან, ვერხნი შარანთან, ნიჟნი შარანთან, ბირკთან, ხადა-ბულაკთან და სადგურ ბორზიასთან. სემიონოვის განადგურებული ბანდის ნამთებმა მანჯურიისაკენ დაიხიეს.



სემიონოვის ბანდების განადგურება დასრულებული არ იყო, რომ კალანდარიშვილის დივიზიონი თეთრი ჩეხებისა და თეთრგვარდიელთა ბანდების წინააღმდეგ საბრძოლველად გაგზავნეს. ასათიანის ესკადრონმა დივიზიონთან ერთად მონაწილეობა მიიღო ბრძოლებში ნიჟნეუდინსკთან, ირკუტსკთან, კულტუკთან, სელენგინსკის ლაცანესთან და საგადურ შურინოსთან.

1918 წლის სექტემბრიდან ნოემბრამდე ასათიანი მონაწილეობს ათასკილომეტრიან უმძიმეს საშერობაში უკაცრიელ ადგილებში, მოღოლეთის საზღვრის გასწვრივ, ქ. ტროიცოსავსკიდან ჩერემხოვოს რაიონის სოფელ ჩერნუშკამდე.

1919 წლის პირველ ნახევარში ასათიანი კალანდარიშვილთან ერთად აწარმოებს კოლჩაკელებს **პარტიზანულ** თავდასხმებს, აწყობს მტრის ეშელონების აფეთქებას, ანგრევს მის კომუნიკაციებს. 1919 წლის ზაფხულზე და შემოდგომაზე ისინი მოქმედებენ ვერხოლენსკის ფრონტზე. იქ კალანდარიშვილი ათვალთვალებს პარტიზანულ რაზმებს და ქმნის არმიას.

1919 წლის დეკემბერში ასათიანი კოლჩაკელების წინააღმდეგ იბრძვის ირკუტსკის ფრონტზე, 1920 წლის იანვრის ბოლოსა და თებერვლის დამდეგს კი — სადგურ ზიმასთან, კოლჩაკელები განადგურებულ იქნენ. თვით კოლჩაკი 7 თებერვალს დახვრიტეს ქ. ირკუტსკში.

1920 წლის 2 მარტს მ. პ. ასათიანი მონაწილეობდა დიდ ბრძოლაში ვერხოლენსკის ფრონტზე სოფელ ბირიუკალთან, გენერალ სუკინის ბანდების წინააღმდეგ. სუკინიც სასტიკად დამარცხეს და შეიკანრამდე სდიენ. 1920 წლის 1 მაისს ნ. ა. კალანდარიშვილის პოლკი იმიერბაიკალის ფრონტზე წავიდა იაპონელი დამპყრობლების წინააღმდეგ. ასათიანი ამ დროს კალანდარიშვილის მოადგილეა. 12 მაისს სადგურ გონგოტასთან გამართულ ბრძოლაში იაპონელები სასტიკად დამარცხეს და აიძულეს ზავი ეთხოვათ. გონგოტის ბრძოლაში კალანდარიშვილი გამოვიდა დაიჭრა და პოლკის სარდლობა ასათიანს დაეკისრა. ასათიანი ამ პოლკს 1920 წლის 26 მაისამდე სარდლობდა. 1920 წლის შემოდგომაზე იაპონელებმა ზავი დაარღვიეს და ომი განაახლეს. 1920 წლის 17 სექტემბერს ასათიანის სარდლობით კალანდარიშვილის პოლკმა გმირულად დაარტყა იაპონელებს და დაურეიდან განდევნა ისინი, ხოლო ნოემბერს სოფელ სრეტენსკთან ბრძოლაში იაპონელები საბოლოოდ დამარცხდნენ. ამის შემდეგ ასათიანმა პოლკი მონღოლეთის საზღვარზე სადგურ კულუსუტში გადაიყვანა, იქ იგი აწარმოებდა ბანდიტიზმის ლიკვიდაციას და იცავდა საზღვარს. პოლკი აქ 1921 წლის მაისამდე დარჩა. პარტიის ბოჩკარევის რაიკომმა პოლკს წითელი დროშა გადაეცა და მას „პაპა კალანდარიშვილის სახელობის გონგოტის კავალერიის პოლკი“ ეწოდა.

1921 წლის შემოდგომიდან საბჭოთა ხელისუფლებას იაკუტიაში საფრთხე ემუქრება. ოხოტსკის ზღვის სანაპიროდან იაპონიის იმპერიალისტთა აგენტებმა ქ. იაკუტსკის მიმართულებით შეიჭრაღელენ ბანდები დასძრეს. მათი განადგურება ნ. ა. კალანდარიშვილს დაეკალა. იგი დანიშნულ იქნა იაკუტიის ოლქისა და ჩრდილოეთის ჯარების მთავარსარდლად. ამ ერთიანებაში შეივიდა კალანდარიშვილის სახელობის ჩრდილოეთის მეორე არმია, რომელის სარდლადაც დანიშნა მ. პ. ასათიანი. 1921 წლის 31 დეკემბერს, ნ. ა. შეუადგენს 4 საათზე ქ. ირკუტსკიდან იაკუტსკის მიმართულებით გავიდა ამ არმიის პირველი, ხოლო 1922 წლის 12 იანვარს უკანასკნელი, მეოთხე ეშელონი.

1922 წლის 6 მარტს დილით სოფელ ტეტეურსა და ტაბაგას შორის, ქ. იაკუტსკიდან 3 კილომეტრზე, სამხრეთით, იქ, სადაც გზა გადაკვეთს შუა გადის, ამ მიის შტაბი მოულოდნელად მტრის საფარს წააწყდა. თეთრგვარდიელთა ბანდებმა, რომელიც ათჯერ მეტი იყვნენ შტაბს ჯვარედინი ცეცხლი დაუშინეს. შტაბში მყოფი შემადგენლობა უთანასწორო გმირულ ბრძოლაში დაეცა. ეს ერაგი მტრის უყვარა ასათიანს თავში მოხვედრილა. მას მარჯვენა ხელზე მხოლოდ რვეულიც თასმა შერჩენოდა, ხოლო მტრისათვის მოღალატეებისა მტრებენა ხელი ალის მუშტი კვლავ გაუშლელი ჰქონდა. მის გვერდით ნახევრად გაძარცვული იწვა „ციმბირის პაპა“ ნ. ა. კალანდარიშვილი.

გმირების დაღუპვის ამბავი ელვის სწრაფით მოედო შორეულ ციმბირს და სახალხო გლოვა გამოიწვია. გმირთა ცხედრები დროებით იაკუტიის მიწას მიაბარეს, ხოლო მშრომელთა მოთხოვნით 1922 წლის 15 სექტემბერს ქ. ირკუტსკში მოასვენეს. 17 სექტემბერს ისინი კიდევ ნარინის მთაზე წასვენეს და ძმათა სასფლაოს მიაბარეს. პროცესიაში მონაწილეობდნენ ქ. ირკუტსკის მშრომელები, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების წარმომადგენლები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ადგილებიდან. მათ შორის იყო საქართველოს სსრ მშრომელთა დელეგაცია. ასათიანი განისვენებს კალანდარიშვილის ძეგლის წინ, ბურლოვის გვერდით.

საბჭოთა მთავრობამ დიდად დააფასა ასათიანის დამსახურება სამოქალაქო ომში და იგი სიკვდილის შემდეგ 1922 წელს დააჯილდოვა იმ დროისათვის უმაღლესი ჯილდოთი — წითელი დროშის ორდენით.

ს. ციცქიშვილი,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

ეული სიამაყით გვესება, როცა ეცნობი სამოქალაქო ომის ისტორიას, მის მდიდარ არქივს. აქ ყოველი საბრძოლო ეპიზოდი აღსავსეა საგმირო საქმეებით, საბჭოთა ხელისუფლებისათვის თავგანწირვის მაგალითებით. გრძნობ შინაგან კმაყოფილებას, როცა ამ ომის თითქმის ყოველ მნიშვნელოვან ფრონტზე არაერთ ქართველს გმირობით უსახელებია სამშობლო. ერთი მრავალთაგანია **მიხეილ (ჯიმშეთ) პავლეს-ძე ასათიანი**, ვიზედაც ქვემოთ მოგითხრობთ.

ამ დღეთა დიდება უჭკნობია

ორმოცი წლის წინათ, **1920** წლის **16** ნოემბერს, გამოჩენილმა პროლეტარულმა მხედართმთავარმა მ. ვ. ფრუნზემ ვ. ი. ლენინს ყირიმიდან დეპეშით აუწყა: „დღეს ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა ქერჩი დაიკავა. სამხრეთის ფრონტი ლიკვიდირებულია“. სამხედრო სადენით გადაცემულმა ამ დეპეშამ ქვეყნიერებას ამცნო, რომ ძლევამოსილად დამთავრდა განადგურება ვრანგელის ჯარებისა — უცხოელი ინტერვენტების და შინაური კონტრრევოლუციის უკანასკნელი დასაყრდენისა, რომელებიც გაერთიანდნენ ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლისათვის. ვრანგელის განადგურებით, რაც ბრწყინვალედ განახორციელა წითელმა არმიამ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მესამე წლისთავის დღესასწაულის დღეებში, დამთავრდა სამოქალაქო ომი რუსეთში, მტრების ძირითადი ძალები დამარცხებულ და განდევნილ იქნენ საბჭოთა მიწა-წყლიდან.

ვ. ი. ლენინმა მაღალი შეფასება მისცა წითელი არმიის მებრძოლთა არაჩვეულებრივ გმირობას, რაც მათ გამოიჩინეს მტრისადმი ამ უკანასკნელ დარტყმაში, პერეკოპზე და იუშუნთან ისეთი სიმაგრეების იერიშის დროს, რომელებიც ბევრ სამხედრო სპეციალისტს მიუდგომელად მიაჩნდა. „წითელი არმიის ისტორიაში,— ამბობდა ვ. ი. ლენინი სრულიად რუსეთის საბჭოების VIII ყრილობაზე, — ერთ-ერთ ყველაზე ბრწყინვალე ფურცელს წარმოადგენს სრული, გადამწყვეტი და შესანიშნავად სწრაფი გამარჯვება ვრანგელზე. ამრიგად, ის ომი, რომელიც თავს მოგვახვიეს თეთრგვარდიელებმა და იმპერიალისტებმა, ლიკვიდირებული აღმოჩნდა“. (თხზ., ტ. 31, გვ. 599).

ხალხის მეხსიერებაში არასოდეს არ წაიშლება გმირული საქმეები წითელი არმიის მეომრებისა, ჩვენი სამშობლოს მუშებისა და გლეხებისა, რომელებმაც საერთაშორისო იმპერიალიზმთან და შინაური კონტრრევოლუციასთან უთანასწორო შეიარაღებულ ბრძოლაში დაიცვეს ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დიადი მონაპოვარნი და საბჭოთა სახელმწიფოს დამოუკიდებლობა. ცარიცინთან და პეტროგრადთან, ციმბირსა და ამიერკავკასიაში, დონსა და დნეპრზე, ჩრდილოეთსა და ყირიმში — ყველგან, სადაც ჩაღდებოდა გააფთრებული ბრძოლები, ჩვენი ხალხი, რომელსაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობდა და აღაფრთოვანებდა, თავდადებულად იბრძოდა რევოლუციის მტრების წინააღმდეგ. ეს იყო დრო ახალგაზრდა საბჭოთა წყობილების სიმტკიცის მკაცრი გამოცდისა, ეპოქა ხალხის უშანგალითო გმირობისა და მამაცობისა, რომელიც აღსდგა თავისი თავისუფლების, თავისი რევოლუციური სამშობლოს დასაცავად.

სამოქალაქო ომი რუსეთში უცხოელმა იმპერიალისტებმა გააჩაღეს. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისთანავე მათ დაიწყეს სამხედრო შემოკრა ჩვენს ქვეყანაში, ამავე დროს ყოველნაირად უჭერდნენ მხარს შინაურ კონტრრევოლუციას. ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთის, იაპონიის, იტალიის ჯარები საბრძოლო ხომალდებიდან გადმოსხდნენ მურმანსკში, არხანგელსკში, ვლადივოსტოკში, ოდესაში. მეფის ყოფილი გენერლების სარდლობით დაარქვნენ საბრძოლველად თეთრგვარდიელთა არმიები. ყველგან ეწყობოდა კულაკთა ამბოხება. ერთიმეორეს მოსდევდა იმპერიალისტთა ლაშქრობანი საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. ერთი საომარი კამპანია მეორეს სცვლდა, ჩნდებოდა სულ ახალი და ახალი ფრონტები და ცეცხლის რკალად ერტყმებოდა გარს მუშურ-გლეხური რესპუბლიკას.

უცხოელი ინტერვენტები და თეთრგვარდიელები სამხედრო მხრივ ბევრად ძლიერნი იყვნენ საბჭოთა სახელმწიფოზე. დენიკინის, იუდენიჩის, კოლჩაკის, კრასნოვის, ვრანგელისა და მეფის სხვა გენერლების თეთრგვარდიული არმიები, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის, კაიზერის გერმანიისა და სხვა კაპიტალისტური სახელმწიფოების ჯარები, რომლებიც მონაწილეობდნენ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ომსკოვის, პეტროგრადის, ივანოვო-ვოზნესენსკის, ურალისა და რუსეთის ფედერაციის სხვა სამრეწველო რაიონების გმირმა მუშათა კლასმა ამ ბრძოლაში შეუდრეკელი სიმტკიცე და მამაცობა გამოავლინა. მშრომელ გლეხობასთან ერთად იგი თავდადებულად ეხმარებოდა ბელორუსიის, უკრაინის, ბალტიისპირეთის, ამიერკავკასიისა და თურქესტანის მშრომელებს თეთრგვარდიელთა ბანდებისა და ინტერვენტთა რჩეულ ჯარებზე გამარჯვებათა მოპოვებაში. თავის მხრივ ყველა ფრონტზე წითელი არმიის რიგებში, პარტიზანულ რაზმებში მამაცურად ებრძოდნენ რევოლუციის მტრებს ბელორუსელები და უკრაინელები, ესტონელები, ლატვიელები და ლიტველები, შუა აზიისა და ამიერკავკასიის მშრომელები.

წითელი არმიის შემადგენლობაში ყველა ფრონტზე ჩვენი სამშობლოს მშრომელთანან ერთად ოქტომბრის დიად მონაპოვრებს იცავდნენ ინტერნაციონალური ნაწილები და ბევრი ქვეყნის წარმომადგენელ მოხალისეთა შენაერთები. ისინი იქმნებოდნენ მოსკოვში, სამარაში, სარატოვში, ორიოლში, ტულაში, კიევში, კურსკში, იაროსლავლში, ყაზანში, ირკუტსკში, პოლტავასა და ბევრ სხვა ქალაქში. 80 ათასი უნგრელი, 40 ათასი ჩინელი, ათეული ათასობით გერმანელი, ჩეხი, სერბიელი, პოლონელი, რუმინელი და მსოფლიოს სხვა ხალხთა წარმომადგენელები საბჭოთა რუსეთის ხალხების მხარდამხარ მედგარ ბრძოლას ეწეოდნენ რევოლუციის მტრების წინააღმდეგ ყველაზე პასუხსაგებ უბნებზე. ვ. ი. ლენინმა მაღალი შეფასება მისცა საზღვარგარეთელ მშრომელთა საბრძოლო თანამგზრობას საბჭოთა რესპუბლიკის მუშებთან და გლეხებთან, ახასიათებდა მას როგორც ხალხთა ინტერნაციონალური ძმობის საქმით გახორციელებას. ბევრი ინტერნაციონალური პოლკი კონტრრევოლუციის წინააღმდეგ თავდადებული ბრძოლისათვის დაჯილდოებულ იქნა წითელი დროშის ორდენით.

რეგულარული წითელი არმიის ნაწილებს უდიდესი დახმარება გაუწია შეალვრმა პარტიზანულმა მოძრაობამ, რომელიც კომუნისტურმა პარტიამ მტრის ზურგში მოაწყო. ჩრდილოეთის, ურალის, ციმბირის, შორეული აღმოსავლეთის ყველა რაიონში, უკრაინაში, ბელორუსიაში, ბალტიისპირეთში, დონზე და კავკასიაში პარტიის არალეგალური ორგანიზაციები განუმარტავდნენ მშრომელებს სამოქალაქო ომის მიზნებსა და ხასიათს, რაზმავდნენ მათ ინტერვენტებისა და თეთრგვარდიელების წინააღმდეგ საბრძოლველად.

სამოქალაქო ომის ფრონტებზე გამარჯვების ორგანიზაციაში გადამწყვეტი როლი ეკუთვნოდა კომუნისტურ პარტიას, რომელსაც ვ. ი. ლენინი ხელმძღვანელობდა, მის ცენტრალურ კომიტეტს. ომის წარმოების, ძალების განაწილების, ჯარების მომარაგების, მტრის წინააღმდეგ ბრძოლის ამა თუ იმ ეტაპზე სტრატეგიული გეგმების გამომუშავების ყველა საკითხს ცენტრალური კომიტეტი წყვეტდა. თავის საუკეთესო ძალებს პარტია წითელი არმიის რიგებში გზავნიდა. სამოქალაქო ომის წლებში ჩვენი არმიისა და ფლოტის ნაწილებში პარტიის მთელი შემადგენლობის დაახლოებით ნახევარი იმყოფებოდა. კომუნისტები ყველაზე კარგი მებრძოლები და მეთაურები იყვნენ. პირადი მაგალითით, გმირობითა და გამბედაობით ისინი ყველა მეომარს გაიყოლიებდნენ ხოლმე. სიკვდილი ან გამარჯვება! — ასეთი იყო მათი ლოზუნგი. და ბევრმა მათგანმა უდიდესი თავდადება გამოიჩინა მტერთან ბრძოლებში. 50 ათასამდე კომუნისტმა თავი დასდო მოსისხლე მტრებზე საბჭოთა რესპუბლიკის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

უცხოეთის ინტერვენციისა და შინაური კონტრრევოლუციის გაერთიანებული ძალების გადამწყვეტ განადგურებას, რომელიც ორმოცი წლის წინათ განხორციელდა, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო ჩვენი სამშობლოს ხალხებისათვის, რომელებმაც იარაღით ხელში დაიცვეს ოქტომბრის მონაპოვარნი და შეძლებლობა მოიპოვეს განეგრძოთ მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობა, არამედ მთელი მსოფლიოს ხალხთა ბედისთვისაც. სამოქალაქო ომის ძლევამოსილად დამთავრებამ გვიჩვენა, თუ რა დაუშრეტელი ძალები აქვს ხალხს, რომელმაც თავის ხელში აიღო ძალაუფლება და დაირაზმა კომუნისტური პარტიის ლენინური დროშის ქვეშ. „ვერასდროს ვერ დაამარცხებენ იმ ხალხს, — ამბობდა ვ. ი. ლენინი, — რომლის მუშათა და გლეხთა უმრავლესობამ გაიგო, იგრძნო და დაინახა, რომ ისინი იცავენ თავიანთ, საბჭოთა ხელისუფლებას — მშრომელთა ხელისუფლებას, რომ იცავენ იმ საქმეს, რომლის გამარჯვება მათთვის და მათი შვილებისათვის უზრუნველყოფს კულტურის მთელი სიკეთით, ადამიანის შრომის ყველა ქმნილებით სარგებლობის შესაძლებლობას“. (თხზ., ტ. 29, გვ. 370).

ლენინის ეს წინაწარმეტყველური აზრი უდიდესი ძალით დაადასტურა **1941-1945** წლების დიდმა სამამულო ომმა, რომლის დროსაც მთელმა მსოფლიომ ერთხელ კიდევ დაინახა საბჭოთა წყობილების უარყოფა ძლიერება. სამარცხვინო დამარცხებით დამთავრდა საერთაშორისო იმპერიალიზმის კიდევ ერთი ცდა, ფაშისტთა ურდოების დამარცხებით მოესპო მუშათა და გლეხთა სახელმწიფო. საბჭოთა ადამიანებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სასტიკად დაამარცხეს ჰიტლერელთა არმიები, დამპყრობლებისაგან გაწმინდეს თავიანთი მიწა-წყალი და ძმური დახმარების ხელი გაუწოდეს ევროპის ხალხებს, რომელებიც ფაშიტა დამონებელთა უღელქვეშ იმყოფებოდნენ.

აბჭოთა ადამიანების მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას ფხიზლად იცავენ მამაცი შეიარაღებული ძალები. თავიანთი ტექნიკური აღჭურვილობით საბჭოთა არმია და ფლოტი ახლა მეცნიერების და ტექნიკის უახლეს მიღწევათა დონეზე იმყოფებიან და ყველაფერი აქვთ, რაც კი საჭიროა საბჭოთა სახელმწიფოს საზღვრების ხელშეუხებლობის უზრუნველსაყოფად. თავისი მშვიდობისმოყვარული ლენინური პოლიტიკის ერთგული ჩვენი ხალხი მტკიცედ იბრძვის მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის და არავის არ უპირებს თავდასხმას. მაგრამ თუ იმპერიალიზმის მეხვეურები გონებას დაკარგავენ და შეეცდებიან დაარღვიონ კომუნისტმის მშენებელი საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი შრომა, ისინი ისეთ საპასუხო გამანადგურებელ დარტყმას მიიღებენ, როგორიც ჯერ არც ერთ ავრეხარს არ გასუფდია. საბჭოთა არმიისა და ფლოტის მეომრები სამოქალაქო ომის მონაწილეთა მბრძენი ტრადიციების მემკვიდრეები, **უცხოელ ინტერვენტთა** და **შინაური კონტრრევოლუციის** წინააღმდეგ გაიფრთხილეს ბრძოლებში მოპოვებული მათი უჭკნობი დიდების მემკვიდრეები მზად არიან ყოველ მომენტში დაიცვან საყვარელი სამშობლოს ინტერესები.

ნ. დენისოვი,
პოლკოვნიკი.

გმირული ბრძოლების მატიანე

МОСКВА, 13 ნოემბერი. (საკდესი). გამოვიდა „სსრ კავშირის სამოქალაქო ომის ისტორიის“ მეხუთე ტომი, რომელიც მოამზადა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტმა და გამოსცა პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ.

წიგნი შეიცავს ცხრა თავს: მშვიდობიანი შესვენება 1920 წლის დამდეგს; ანტანტის მესამე ლაშქრობის დაწყება; საბჭოთა სახელმწიფოს ძალების მობილიზაცია მტრის განადგურებლად; წითელი არმიის კონტრშეტევა; ბურჟუაზიულ-მემამულურ პოლონეთთან ომის დამთავრება; ვრანგელის თეთრგვარდიული არმიის განადგურება; საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება ამიერკავკასიაში; ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის თურქესტანში 1920 წელს; საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცება 1920 წელს; მორეული აღმოსავლეთის გაერთიანებულ ერების ორგანიზაციის ბრძოლა.

ტომში მოცემულია „სსრ კავშირის სამოქალაქო ომის ისტორიის“ მთელი გამოცემის დასკვნა. დასკვნაში ნაჩვენებია წყაროები მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებებისა, რომლებიც მოიპოვა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკამ საერთაშორისო იმპერიალიზმის ძალთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ სამოქალაქო ომში საბჭოთა რუსეთის მუშათა და გლეხთა გამარჯვების მთავარი და გადამწყვეტი პირობა იყო კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობა ვ. ი. ლენინის მეთაურობით. ძლევამოსილად რომ დაამთავრა სამოქალაქო ომი საბჭოთა ქვეყანამ მოიპოვა მტკიცე საერთაშორისო მდგომარეობა, კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან მშვიდობიანი თანაარსებობის შესაძლებლობა და უზრუნველყო სოციალიზმის წარმატებით მშენებლობის პირობები. ტომში გამოყენებულია ბევრი წინათ გამოუქვეყნებელი დოკუმენტი. წიგნი მდიდრულადაა დასურათებული, შეიცავს სამეცნიერო-საცნობო აპარატს.

ВЕНმა სახელმწიფომ უცხოელი ინტერვენტებისა და თეთრგვარდიელების წინააღმდეგ მძიმე და შეუპოვარ ბრძოლაში დაიცვა თავისი დამოუკიდებლობა. რევოლუციის გარეშე და შინაურ მტრებზე მოპოვებულმა ისტორიულმა გამარჯვებამ შესაძლებლობა მისცა ჩვენს ხალხს შესდგომოდა მშვიდობიან მშენებლობას და განეხორციელებინა დიადი შემოქმედებითი გეგმები. მკაფიოდ და ხატოვნად ილუსტრირა ამას წინათ ჩვენი ხალხის ამ გმირობაზე ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის ერთ-ერთ გამოსვლაში ნიუ-იორკში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიის მუშაობის დროს. „თეთრგვარდიელებმა, მეფის არმიის გენერლებმა, — ამბობდა ნ. ს. ხრუშჩოვი ამერიკის ტელევიზიით საუბარში, — ხელთ იგდეს ციმბირი, უკრაინა, ბელორუსია, ისინი მოვიდნენ ტულამდე, 150 კილომეტრზე იყვნენ მოსკოვიდან. მაგრამ რუსმა ხალხმა, უკრაინელმა ხალხმა, ბელორუსმა ხალხმა — საბჭოთა კავშირის ყველა ხალხმა აიღო ცოცხი და ოკეანეში გადაგაგდო ყველა ინტერვენტი: ამერიკელები, ინგლისელები, ფრანგები, გერმანელები. მათ გაგაგეს მთელი უწმინდურება და თქვეს: „ჩვენს ქვეყანაში აშენდება სოციალიზმი!“. და სოციალიზმი ახლა ჩვენში ძლიერ კარგად ვითარდება“.

სამოქალაქო ომის ბრძოლის ველებზე გამოჩნდა მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა ლენინური ეროვნული პოლიტიკისა, რომელმაც გააერთიანა ჩვენი სამშობლოს ყველა ეროვნების მშრომელთა ღონისძიებანი ინტერვენტებისა და კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში. მოსკოვის, პეტროგრადის, ივანოვო-ვოზნესენსკის, ურალისა და რუსეთის ფედერაციის სხვა სამრეწველო რაიონების გმირმა მუშათა კლასმა ამ ბრძოლაში შეუდრეკელი სიმტკიცე და მამაცობა გამოავლინა. მშრომელ გლეხობასთან ერთად იგი თავდადებულად ეხმარებოდა ბელორუსიის, უკრაინის, ბალტიისპირეთის, ამიერკავკასიისა და თურქესტანის მშრომელებს თეთრგვარდიელთა ბანდებისა და ინტერვენტთა რჩეულ ჯარებზე გამარჯვებათა მოპოვებაში. თავის მხრივ ყველა ფრონტზე წითელი არმიის რიგებში, პარტიზანულ რაზმებში მამაცურად ებრძოდნენ რევოლუციის მტრებს ბელორუსელები და უკრაინელები, ესტონელები, ლატვიელები და ლიტველები, შუა აზიისა და ამიერკავკასიის მშრომელები.

წითელი არმიის შემადგენლობაში ყველა ფრონტზე ჩვენი სამშობლოს მშრომელთანან ერთად ოქტომბრის დიად მონაპოვრებს იცავდნენ ინტერნაციონალური ნაწილები და ბევრი ქვეყნის წარმომადგენელ მოხალისეთა შენაერთები. ისინი იქმნებოდნენ მოსკოვში, სამარაში, სარატოვში, ორიოლში, ტულაში, კიევში, კურსკში, იაროსლავლში, ყაზანში, ირკუტსკში, პოლტავასა და ბევრ სხვა ქალაქში. 80 ათასი უნგრელი, 40 ათასი ჩინელი, ათეული ათასობით გერმანელი, ჩეხი, სერბიელი, პოლონელი, რუმინელი და მსოფლიოს სხვა ხალხთა წარმომადგენლები საბჭოთა რუსეთის ხალხების მხარდამხარ მედგარ ბრძოლას ეწეოდნენ რევოლუციის მტრების წინააღმდეგ ყველაზე პასუხსაგებ უბნებზე. ვ. ი. ლენინმა მაღალი შეფასება მისცა საზღვარგარეთელ მშრომელთა საბრძოლო თანამგზრობას საბჭოთა რესპუბლიკის მუშებთან და გლეხებთან, ახასიათებდა მას როგორც ხალხთა ინტერნაციონალური ძმობის საქმით გახორციელებას. ბევრი ინტერნაციონალური პოლკი კონტრრევოლუციის წინააღმდეგ თავდადებული ბრძოლისათვის დაჯილდოებულ იქნა წითელი დროშის ორდენით.

ИСТОРИЧЕСКИЕ ПОБЕДЫ

40 ЛЕТ СПУСТЯ

АМЕРИКАВКАЗИИ სამხედრო ოლქის მეომრები ყველა საბჭოთა მეომრებთან და ჩვენი სამშობლოს მშრომელებთან ერთად 16 ნოემბერს აღნიშნავენ ღირსშესანიშნავ თარიღს — ყირიმში ვრანგელის ჯარების — უცხოელი ინტერვენტებისა და შინაური კონტრრევოლუციის უკანასკნელი დასაყრდენის განადგურებას.

ვრანგელის ჯარებზე გამარჯვებით, რასაც წითელმა არმიამ მიაღწია გამოჩენილი პროლეტარული მხედართმთავრის მ. ვ. ფრუნზეს ხელმძღვანელობით, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცი

არა, ამას მომხმარებელი არ ჩაიცვამს

გეთაყვა, მაჩვენეთ მამაკაცის კარგი ხარისხის პალტო, — ითხოვა მომხმარებელმა თბილისის მზატანსაცმლის მეჩვიდმეტე საოსნის თანამშრომელს.

— რა ზომისა გნებავთ, მეგობარო? — ზრდილობიანად უპასუხა გამყიდველმა და მაგიდაზე დაწყო სხვადასხვა ფერის დრაპის ტერიისაგან შეკერილი პალტოები. მყიდველმა ხელით გასინჯა და ესიამოვნა. მთელ პალტოს ხელისგულში ჩაიბღუჯავდი. ფერი? როგორიც გნებავთ — ლურჯი, შავი, რუხი...

—სად შეიძლება მოვიზომო?— კითხა მყიდველმა.

— აი, აგერ, მეგობარო! — მიუგო საოსნის თანამშრომელმა და საუხოოდ მოწყობილ, დღესავით გაათებულ, სარკიან ოთახში შეიყვანა.

დაიწყო პალტოს მოზომება.

ბევრი ეცადა გამყიდველი, ბევრი ეწვალა მყიდველი, მაგრამ მომხმარებელმა მხოლოდ ცალი ყელავი გაუყარა პალტოს. მეორე?! — ვერ იქნა და ვერ მისწვდა ყელს.

— სხვას მოგართმევთ, — თქვა ბეჯუნებულმა გამყიდველმა და ასეთივე ფერის, უფრო დიდი ზომის პალტო მოიტანა. ამჯერად პალტოს ჩაცმა მოხერხდა. მყიდველმა როგორც იქნა მხრები გაამართა, მაგრამ მუხლები? ბევრი ქაჩეს გამყიდველმა, სექციის გამგემ, თვითონ მყიდველმაც, მაგრამ ვერ იქნა, პალტოს ტოტები მუხლამდე ვერ ჩამოიყვანეს. საბოლოოდ? მარჯვენა გრძელი აღმოჩნდა, მარცხენა მოკლე. ქამარი? სანახევროდაც არ გაწვდა. მყიდველის წელს, მიუხედავად ზომისა, რომ კაცი საშუალო ტანისა იყო.

გული დაწყდა მყიდველს, შეეხუნძნენ გამყიდველებიც, დახედეს იარლიყს: სარჩულზე კოხტად ბროდერისტებულ ნაჭერზე ოქროსფერი ასოებით ეწერა: „თბილისის პირველი სამკერვალო ფაბრიკა“, „უმაღლესი ხარისხი“.

— ეს პირველი შემთხვევა რომია, — ჩაილაპარაკა გამყიდველმა, როცა მომხმარებელი მაღაზიიდან გავიდა. ვაი დედასა, რა მატერიას აფუჭებენ! ახლა სარჩულს შეხედე, ხუთი თვე მიმიცია, სულ ღერა-ღერა ძაფებად დაირღვევა... დალაინდაგება? ნაჭეთ, რა უთანაბროა, რა უაზროდ ნაჭეულ-მოხვეული. მოდა: მეტად ყამგადასული, უგემოვნო, ბომა: არასტანდარტული, შეკერის ხარისხი? აქ ხელი ჩაიქნია გამყიდველმა, ციგად აიღო პალტოები და ჩამოჰკიდა, შემდეგ თაროებზე შარვლები გაასწორა და ახალი მომხმარებლის მოლოდინში სკამზე ჩამოჯდა.

ეს პალტოები დიდი ხანია ჰკიდია მაღაზიებში, ჰკიდია და არ იყიდება. თბილისის პირველი სამკერვალო ფაბრიკა (დირექტორი ვ. ხომერიკი) კი ყურადღებას არ აქცევს მომხმარებელთა გემოვნებას, ძველებურად, უხარისხოდ ჭრის და კერავს... ამ საწარმოს 1097 ცალი პროდუქცია — ქალისა და მამაკაცის პალტო ამას წინათ შეამოწმა სახელმწიფო ინსპექციამ და დაბალ ხარისხში გადაიყვანა 9,9 პროცენტი, სრულიად დაიწუნა 5.6 პროცენტი. ამ ფაბრიკამ უხარისხო პროდუქციის გამოშვების გამო წელს სავაჭრო ორგანიზაციებს ჯარიმის სახით გადაუხადა 42 ათასი მანეთი. საკითხავია საიდან იხდის საწარმო ესოდენ დიდ თანხას?

— **მამაკაცის** პერანგი გაქვთ?

— გვაქვს.

— ფერი?

— თეთრი, ცისფერი, ვარდისფერი...

— ვისი გამოშვებაა?

— ქუთაისის მერვე სამკერვალო ფაბრიკისა.

— არ მინდა, უვარგისი იქნება.

— როგორ, იშვიათი მატერიაა.

— სწორედ ეგ არის უბედურება. მატერია მართლაც კარგია, მაგრამ შეკერვა?! საყელო მას არ უვარგა და სახელოები. გაცვია და სხვისი გგონია, შევცდი და ორი ცალი ვიყიდე, გადაკეთებაც არ ეწყობა. არა, მეტს ვერ შემაცდენთ. იქნებ სხვა ფაბრიკისა გქონდეთ?

მომხმარებლის ჩივილმა დაგვაინტერესა. ქუთაისის მეორე სამკერვალო ფაბრიკის (დირექტორი ჯ. თევდორაძე) მიერ გამოშვებული მამაკაცის ზედა პერანგები მართლაც იმდენად დაბალი ხარისხის აღმოჩნდა, რომ სახელმწიფო ინსპექციამ შეამოწმა 750 ცალი და მთლიანად დაიწუნა, წარმოებას დაუბრუნა. საკითხავია, როდის აღიდგენს მომხმარებლის თვალში ეს ფაბრიკა თავისი მარკის ღირსებას?

ქუთაისში კიდევ არის სამკერვალო ფაბრიკები. თუნდაც მეოთხე, რომლის დირექტორია კ. აფრიდონიძე. შემოწმდა ამ წარმოების 1.724 ერთეული პროდუქცია, რომლებიც მიღებულია სავაჭრო ქსელში. აქედან უვარგისი აღმოჩნდა 1.374 ერთეული და, როგორც წუნი, უკან დაუბრუნდა წარმოებას. ამ სამკერვალო ფაბრიკას სავაჭრო ქსელიდან უკან დაუბრუნდა აგრეთვე მამაკაცის 12 ათასი თბილი ტანსათბური, როგორც უხეიროდ შეკერილი.

მომხმარებლის გაზრდილ მოთხოვნილებას არც ბათუმის მეხუთე სამკერვალო ფაბრიკა (დირექტორი ვ. ზარელუა) უწევს ანგარიშს. ამას წინათ შემოწმდა ამ წარმოების მიერ გამოშვებული 720 სხვადასხვა სახის შეკერილი ტანსაცმელი და აღმოჩნდა, რომ 2,5 პროცენტი მეტად დაბალი ხარისხის იყო, ხოლო 22,3 პროცენტი — სრულიად უვარგისი.

რა დასკვნა შეგვიძლია გამოვიტანოთ ამ ფაქტებიდან?

პირველი. ზოგიერთი ჩვენი საწარმო, მათი ხელმძღვანელები ანგარიშს არ უწევენ მომხმარებლებს, რომელთა გემოვნება, მოთხოვნილება დიდად გაიზარდა.

მეორე. უხეირო მუშაობით, უხარისხო, უსტანდარტო პროდუქციის გამოშვებით, წარმოება მომხმარებელს აკლებს მეტად საჭირო პროდუქციას, პირველი მოხმარების საგნებს და ამით ხელს უშლის მოსახლეობის მომმარაგების მტკიცე გეგმის განხორციელებას.

მესამე. წუნდებული, დაბალი ხარისხის პროდუქციის გამოშვებით წარმოება სამშობლოს უკარგავს დიდ თანხებს, მატერიალურ დოვლათს, რომელიც ესოდენ საჭიროა.

— **თვეში** რამდენი მანეთის ტრიკოტაჟის საქონელი უნდა გაყიდოთ?

— მილიონ ორასი ათასი მანეთისა.

— ნოემბრის გეგმას შეასრულებთ?

ამ შეკითხვაზე თბილისის მეორე უნივერმაღის ტრიკოტაჟის სექციის გამგემ მხრები აიჩეჩა.

— როგორ გითხრათ! ამჟამად მაღაზიაში მხოლოდ ოთხასი ათასი მანეთის ტრიკოტაჟის ნაწარმი გაგვაჩნია, — ჩაერია საუბარში გამყიდველი.

— მართალს ამბობს, — დაუდასტურა სექციის გამგემ.

—მერე ხელს რა გიშლით, თბილისში ტრიკოტაჟის რამდენიმე საწარმოა, მოიტანეთ საქონელი.

— მოვიტანთ, მაგრამ... გამყიდველმა წინადადება არ დაამთავრა, ორაზროვნად შეხედა სექციის გამგეს, თითქოს ანიშნა, მე პატარა კაცი ვარ, შენ უთხარიო.

სექციის გამგემ გაიღიმა, შემდეგ პატარა კაბინეტში შეგვიყვანა და თავისი გულისწუხილი ასე დაგვიხატა:

წინათ მაღაზიებს მზა პროდუქცია უშუალოდ ფაბრიკებიდან მოგვქონდა. მაშინ ჩვენ საშუალება გაგვაჩნდა შეგვეარჩია სამრეწველო საქონლის ისეთი სახეობები, რომლებიც უფრო საჭიროებდათ ჩვენს მომხმარებლებს. ამის მიხედვით შეკვეთებსაც ვაძლევდით. შედეგიც კარგი იყო. ნაწარმიც თავის დროზე მოგვქონდა, გეგმასაც ვასრულებდით და მომხმარებელიც კმაყოფილი გვყავდა. ახლა საწარმოსა და მაღაზიას შუამავლად ბაზა ჩაგვიდგა. შევეუარებთ მას და, როგორც ხედავთ, თაროები ცარიელია, მომხმარებელი საყვედურობს, გეგმას ვერ ვასრულებთ.

რამდენად სამართლიანია სექციის გამგის ეს ჩივილი, ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ ფაქტია, რომ 4 ნოემბერს ფაბრიკიდან გამოწერილი ტრიკოტაჟი მაღაზიაში მხოლოდ 11 ნოემბერს მიიღეს, რამაც სადღესასწაულო ვაჭრობა შეაფერხა. ისიც ფაქტია, რომ თბილისის პირველი სატრიკოტაჟო ფაბრიკიდან საბითუმო ბაზას 27 ოქტომბერს გაეგზავნა 119.565 მანეთის მზა პროდუქცია, მაგრამ იგი რამდენიმე საათში ისევ უკან ფაბრიკაში მიიტანეს იმის გამო, რომ ნაწარმის ნაწილი მხოლოდ ერთი ზომისა იყო და ასეთი საქონელი საწყობში ბლომად ჰქონდათ. ბაზას და ფაბრიკას შორის დავა გრძელდება, მაღაზიებში კი ტრიკოტაჟის ნაწარმი, რომელზეც მომხმარებელთა მოთხოვნილება დიდია, არა აქვთ.

ჩვენს რესპუბლიკაში წარმატებით მიმდინარეობს წვრილი საფეიქრო საწარმოების გამსხვილება და სპეციალიზაცია, რომელიც წლის ბოლომდე უნდა დამთავრდეს. ამ ღონისძიების მიზანია პროდუქციის ხარისხის ამაღლება, მუშაობა სამუშაო პირობების გაუმჯობესება, ახალი ტექნიკის ათვისება, სიახლეთა დანერგვა წარმოებაში. გამსხვილებულმა საწარმოებმა აითვისონ მთელი რიგი ახალი სახის პროდუქციის წარმოება, გააუმჯობესეს ხარისხი, გაიზარდა პროდუქციის რაოდენობა, შემცირდა მაიმთვითღირებულება.

ახლა მთავარია, ამ საწარმოებმა მტკიცედ დაიცვან სტანდარტის სახელმწიფო გეგმა, მომხმარებელს მიაწოდონ ყველა ზომის პროდუქცია, გაითვალისწინონ მოსახლეობის მოთხოვნილება, მისი საჭიროება.

უნდა აღინიშნოს, რომ ტრიკოტაჟის ფაბრიკები ჯერჯერობით ყველა ზომის ნაწარმს ვერ უშვებენ სხვადასხვა მიზეზის გამო, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ სავაჭრო ორგანიზაციები ნაკლებად სწავლობენ მომხმარებელთა მოთხოვნილებას, მაღაზიაში შეაქვთ ისეთი საქონელი, რომელზეც მოსახლეობის მოთხოვნილება მცირეა. მაგალითად, თბილისის მზატანსაცმლის მაღაზიაში (რუსთაველის პროსპექტზე) წლობით აწყვია ბამბის ქსოვილისაგან შეკერილი შარვლები. ეს იმ დროს, როდესაც ასეთ პროდუქციას რაიონებში დიდი მოთხოვნილება აქვს.

რედაქციაში შემოდის დიასახლისების წერილები, ისინი გულისტკივილს გამოთქვამენ იმის გამო, რომ მაღაზიაში არ იშოვება ელექტროუთო, იატაკის ელექტროსაპრიალებელი და სხვა საოჯახო ნივთები. მეორენი უკმაყოფილონი არიან იმით, რომ ბავშვის ფეხსაცმელი, განსაკუთრებით 31-დან 34 ნომრამდე არ იყიდება მაღაზიებში და თუ გამოჩნდება, მეტად უხარისხოა. მესამენი იწერებიან — წიგნის მაღაზიებში არ იშოვება ცალხაზიანი საერთო რვეულები და სხვა სასწავლო ნივთები, რომლებიც აუცილებელია მოსწავლეებისათვის.

დიასახლისების გულისტკივილი სამართლიანია. მართლაც, რატომ არ შეიძლება საქართველოს ფეხსაცმლის ფაბრიკებმა მეტი ყურადღება და დაინტერესება გამოიჩინონ ბავშვის გარეგნულად მიმზიდველი და მაღალხარისხოვანი ფეხსაცმლის გამოსაშვებად. ეს ხომ მეტად საპატიო და კეთილშობილური საქმე იქნებოდა. ნუთუ ძნელია გამოშვებულ იქნას საკმაო რაოდენობის, ცალხაზიანი საერთო რვეულები და იგი თავისუფლად იყიდებოდეს წიგნის მაღაზიებში? ან სავაჭრო ორგანიზაციებმა მეტი რაოდენობით შემოზიდონ ელექტროუთო, იატაკის ელექტროსაპრიალებელი, ელექტრონათურები და სხვა საოჯახო ნივთები, რომლებიც დიასახლისებს შეუმსუბუქებენ შრომას!

ამ კითხვებს პასუხი უნდა გასცენ საწარმოთა კოლექტივებმა და ვაჭრობის დარგის მუშაკებმა.

ზ. ჯამასპიშვილი,
ბ. თათარიშვილი.



ეს თეთრად მოქათქათე შენობა თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტია, აქ უსწავლია მრავალს, აქ იზრდებიან თაობები, რომლებიც თავიანთი ცოდნით სახელსა და სიკეთეს უხვევენ ჩვენს სამშობლოს.

ფოტო ს. ონანოვისა.

მწერლის უგის წიგნაკიდან

მე მინდა რომ...

ახალგაზრდობის კლუბში შეკრებილ გოგონებსა და ყმაწვილებს იმ დღეს საუბარი ჰქონდათ საყვარელი ქალაქის — თბილისის აწყოსა და მომავალზე. მათი უმეტესობა თბილისში დაბადებული და გაზრდილი ეყო და ეჰნეოდათ, როგორ ამაყობდნენ თავიანთი ქალაქით, რომელიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ზღაპრული გმირივით იზრდებოდა — ერთი დღისა სამი თვისას ჰგავდა, სამი თვისა — ათი წლისას... ქალაქი, რომელსაც ახალი, ქალაქის ტოლა უბნები წაბი, ახალი პროსპექტებითა და საცხოვრებელი სახლებით, კეთილმოწყობილი, მწვანით დაბურული პარკებითა და კინოთეატრებით, ახალი ქარხანა-ფაბრიკებითა და მაღაზიებით.

მოძმე რესპუბლიკებიდან ჩამოსულ სტუმრებს გარდა, უცხოელებიც მოჯადოებულნი რჩებიან თბილისის მშვენიერებით, ალტაცებით გამოთქვამენ თავიანთ აზრს პრესის ფურცლებზე. მართლაცდა, ორმოცი წლის მანძილზე თბილისში აშენდა იმაზე მეტი, რაც საუკუნეების განმავლობაში შენდებოდა. ძველ ჭირნახულ ქალაქს ისევ „თავს ესხმიან“ უცხოელები, მაგრამ ამჯერად თბილისი იპყრობს და ატყვევებს მათ.

აი, რა გაიხსენეს იმ დღეს ახალგაზრდობის კლუბში შეკრებილმა გოგონებმა და ყმაწვილებმა, მაგრამ...

— მაგრამ მე მინდა, რომ ჩემი თბილისი უფრო ლამაზი და მშვენიერი გახდეს, — დაიწყო ჭოროთავლება, სასაცილო შესახედაობის გოგონამ. მისი გაბეჭილი ჩანთიდან მოჩანდა ექიმის თეთრი ხალათი, ალბათ, სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი იყო. — მე მინდა, — განაგრძო მან, — რომ თბილისის ქუჩები იდეალურად სუფთა იყოს, როგორც საოპერაციო დანა, ქალაქიდან გაინდევნოს მტვრის უკანასკნელი ატომიც კი. მე მინდა...,

— ამას წინათ, — სიტყვა წაართვა შავგვრემანმა ბიჭმა, — ყურნალში წავიკითხე — პარიზის ქუჩებში თურმე დაუდგამთ ავტომატი აპარატები; როცა ქალაქის მტვრით გაიჟღინთება მოქალაქე, შეუძლია მივიდეს ავტომატთან, ჩაადგოს შიგ ფული და ისუნთქოს სუფთა ჟანგბადით...

— ღმერთმა დაგვიფაროს მაგისთანა კომფორტისაგან, — წამოიძახა გოგონამ, — სჯობს მტვერსაწმენდი ავტომატები გამოვიგონოთ!

— მე მინდა, რომ ავტომანქანის მძღოლმა გადასასვლელთან შეაჩეროს ხოლმე მანქანა და გაატაროს ქალი... — თქვა ლამაზმა ქერა გოგონამ.

— და არა მარტო ქალი! — წამოიძახეს ბიჭებმა.

— მე წინადადებას შევიტანდი, რომ იპოდრომის ვეებერთელა მინდორი, სადაც კვირაში ერთხელ თუ იმართება შეჯიბრება ცხენოსნობაში, დანაჩენ დღეებში დაუთმონ ქუჩის ფეხბურთელთა გუნდებს, თხუთმეტი ბავშვთა გუნდი მაინც ითამაშებს ერთდროულად. ქალაქში ხომ პატარებს არა აქვთ სათამაშო ადგილი.

— მე ვისურვებდი, რომ ქუჩებში გამოიკრას გემოვნებით გაფორმებული სტენდები ქალაქის მოწინავე ადამიანებზე, მათს ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

— თუნდაც ქართველ ოლიმპიურ სპორტსმენებზე!

— გალაკტიონ ტაბიძეზე!

— მეტალურგ ამირან ფანცულაიაზე!

— მე მინდა, — გააგრძელა შავგვრემანმა, — რომ ქალაქის მილიციამ მანამდე აღმოუჩინოს ხულიგნებს დანები, სანამ ამ დანებით ვინმე დაიჭრებოდეს...

— მე სიამოვნებით ვიმუშავებდი თბილისს წყალადენი ან გაზსადენი მილების ჩაწყობაზე... ვიმუშავებდი შავ მუშად, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ ამოთხრილი მიწა მალე უკანვე ჩამეყარა და ძველი სილამაზე დამებრუნებინა ქუჩებისათვის.

— მე მინდა, — სერიოზულად სახით დაიწყო მალალმა გამხდარმა ბიჭმა, — ქალაქის ზოგიერთ სასაფლაოს სიალოვეს მოიხსნას რადიორეპროდუქტორები, უხერხულია — ჭირისუფალი ტირის და რადიო თავბრუდამხვევ საცეკვაო მუსიკას გადმოსცემს.

— ამას გარდა, — გააწყვეტინა ქერა გოგონამ, — კარგი იქნებოდა, რომ ქუჩის რეპროდუქტორები შაბათ და კვირა საღამოს აცხადებდნენ ხოლმე დაახლოებით ასე: „ნახევარი საათის შემდეგ ამა და ამ პარკში თუ ამა და ამ თეატრში დაიწყება ასეთი საინტერესო კონცერტი, იჩქარეთ ამხანაგებო“.

— მე მინდა, რომ ქალაქის მოედნებზე დადგას დიდი ტელეეკრანი, რომელიც ქუჩის რეპროდუქტორივით გადმოსცემდა ყველაფერს, საინტერესოს.

— მე მინდა...

— მე ვისურვებდი...

— კარგი იქნებოდა, რომ...

ერთმანეთს არ აცლიდნენ ახალგაზრდები.

— მე მინდა, თბილისიდან სამგორის ზღვამდე იფრინონ სამგზავრო ვერტმფრენებმა!

— მე ავაშენებდი საბაგირო გზას მცხეთიდან ჯვაროს მონასტრამდე.

— იმუშავებდი მაგ მშენებლობაზე?

— სიამოვნებით, თუნდაც დღესვე დავიწყებდი მუშაობას, და საერთოდ ვიმუშავებდი ყველა მშენებლობაზე, რომელიც დაამშვენებდა და გაალამაზებდა ჩვენს ქვეყანას.

— ამხანაგებო! — წამოიძახა შავგვრემანმა ყმაწვილმა, რომელმაც გვიან იკისრა სხდომის თავმჯდომარეობა, — ასეთი სურვილები არ გათავდება. საქმე ის არის, რომ ვიელაპარაკოთ კონკრეტულად — რა უფრო საჭიროა უშინაარეს ყოვლისა ჩვენი ქალაქისათვის? რისი აშენება ან გაკეთება შეგვიძლია ჩვენ, ახალგაზრდებს, ჩვენივე ძალებით? აბა ვის უნდა სიტყვა?

სხდომა გრძელდებოდა. მოშორებით პატარა მაგიდას მისჯდომოდა ორი გოგონა. ისინი ახალგაზრდობის კლუბის მომავალი კვირის მუშაობის პროგრამას აზუსტებდნენ...

* * *

— კი მაგრამ, — გაკვირვებით ამომხედა რედაქციის თანამშრომელმა, როდესაც ეს ჩანაწერი წაიკითხა, — სად არის თბილისში თქვენი აღწერილი ახალგაზრდობის კლუბი?

— ჰო, მართლა, კინაღამ დამავიწყდა, — წაიღიღინეს მე და ჩანაწერს უკანასკნელი აბზაცი მივუმატე:

— მე მინდა, რომ თბილისში მალე აშენდეს ასეთი ახალგაზრდული კლუბები. იქ გოგონებსა და ყმაწვილებს შეეძლებათ თავმოყრა, გართობა, საქმიანი საუბარი და არანაკლებ საქმიანი ოცნება. ეს ყოველმხრივ კარგ შედეგებს მოიტანს.

ედიშერ ყიფიანი.

მხატვარი ზ. ლეჟავა.

ვინც რა უნდა თქვასო, წისქვილმა კი ფქვასო...

ფელეტონის მაგიერ

თბილელი ყველაზე შორეული და მაღალმთიანი საოფელია ახალციხის რაიონში. აქ უცხო ვერც კი გამოიცნობს, სად არის მომავალი თაობის აღზრდის კერა, თუ შემთხვევით არ მოჰკრა თვალი წისქვილის თავზე გაკრულ ასეთ წარწერას: „თისელის შვიდწლიანი სკოლა“.

ვინ დაიგიწყებს იმ გულისფანცქალს, იმ ეხარულს, რომელიც ბავშვობაში განგვიცდია პირველი ზარის მოლოდინში, როცა პირველად შევაღეთ სკოლის კარი. თითქოს ახლაც გვესმის დედის შთამაგონებელი სიტყვები: სანიშნოდ მოიქეცი, შვილო! იბეჭითე, გიყვარდეს დედაენა, მასწავლებელი...

სოფელ თისელის შვიდწლიან სკოლაში ეს დედის პირველი შთაგონება დაახლოებით ასე იწყება: კიბეზე ფრთხილად ადი, დანგრეულია, არ დაგორდე... მოაჯირს არ მიეყრდნო, დამბალია... იატაკის ნაპრალში ფეხი არ ჩაგვარდეს... შენობის ბანზარმა არ შეგაშინოს, წისქვილის ბრალი იქნება... ვირთაგვამ არ დაგაფრთხოს, უწყინარი ცხოველია...

იტყვით, რა შუაშია ვირთაგვაო? მოგეხსენებათ, თისელის სკოლის ქვეშეთ წისქვილია მოთავსებული, იქვე კოლმეურნეობის პროდუქტებისა და ტყავ-ნედლეულის ორი საწყობია. თავსაყრელად არის მარცვლეული და ფქვილი, ტყავ-ნედლეული და სხვა სახის პროდუქტები, ნარჩენებიც საკმაოა და ნაგავიც. აქედან დასკვნა: თისელის სკოლა-წისქვილში ვირთაგვების გამრავლებისათვის რეალური პირობებია შექმნილი...

ეზოში ხუთულასავით ცალკე დგას მეხუთე კლასის ფიცრული ოთახი. კედლებში ქარი ისე დანავარდობს, როგორც იალაღზე. სკოლის კედლები დანგრევაზეა. სახურავი დამპალია, აღმოსავლეთის კედლიდან, რომელსაც მიწა აკრავს, საკლასო ოთახებში წყალი ეონავს. გრიალებს წისქვილი და საბედისწეროდ აქანავებს ავარიულ მდგომარეობაში მყოფ შენობას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მითითებით განათლების სამინისტროს ჯერ კიდევ გასულ წელს უნდა გაეთვალისწინებინა სოფელ თისელში სკოლის შენობის აგება.

„ვინც რა უნდა თქვასო, წისქვილმა კი ფქვასო“, — ეს ანდაზა თითქოს თისელის სკოლაზეა ნათქვამი. გადის წლები, „წისქვილი ჭრიან ფქვავს“. სკოლის მშენებლობის დაწყების ჯერი კი სამწუხაროდ ჯერ არ დამდგარა.

„სათანადო ტექნიკური დოკუმენტაციის უქონლობის გამო მშენებლობის წარმოება შეუძლებელია, ამიტომ სოფელ თისელში სკოლის მშენებლობისათვის მიმდინარე წელს გათვალისწინებული იქნება ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენა, ხოლო მშენებლობა გათვალისწინებული იქნება 1961 წელს“ — ატყობინებს განათლების სამინისტრო ახალციხის რაისაბჭოს აღმასკომს.

შემოწმებით გამოირკვა, რომ 1961 წელს სოფელ თისელში გათვალისწინებულია არა სკოლის მშენებლობა, არამედ მხოლოდ პროექტის შედგენა. ამ დღეებში სამინისტროში გვითხრეს, თისელის სკოლას 1962 წელს მშენებლობის გეგმაში შევიტანთო.

თისელის სკოლა დანგრევის პირზეა. მის ქვემოთ მოთავსებული წისქვილი კი გრიალებს. და ამ გრიალში ხმამაღლა ლაპარაკს დაეჩვევნენ მოსწავლეები. მალე ალბათ მათი ხმაც მიაღწევს თისელიდან სამინისტრომდე. მაგრამ ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოებს ხომ ეს ხმა უკვე კარგახანია ესმით?!

ბ. ხვადაძე,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.



ამ სურათზე მხატვარმა ერევნის ერთ-ერთი ლამაზი და ახალი კუთხე-ადგილი აღბეჭდა... ოცენებასავით შეძართული ფეფარამლილი ტაიტი, მაგრამ არა, მხედარს თავს ვერ წაართმევს. ის მხედარი თავად ხალხია, რომელსაც ამ მშვენიერი ქალაქივით აღუშენებია თავისი ცხოვრებაც.

ბევრმა იცნო კიდეც ალბათ აქაურობა — ერევნის რკინიგზის სადგურის შენობა და წინ აღმართული ლეგენდარული მხედრის ძეგლი.

მხატვარი ი. ჭოქიაშვილი.

მოძმე სომხეთის სიხარული

საბჭოთა სომხეთის 40 წლისთავის შესახვედრად

რესპუბლიკის ბევრი ფაბრიკა და ქარხანა საიუბილეო მარკების პროდუქციის წარმოებას შეუდგა.

მაგალითად, იუბილესათვის გასაყიდად გამოვა: ქალის ახალი მარკის მაჯის საათი „ნაირი“, რომელიც შემკულია სომხური ორნამენტით; ახალი მარკის პაპიროსები და სიგარეტები „საიუბილეო“, „ლორე“, „ანისი“ და სხვები;

ერევნის ქრონიკალური და დოკუმენტალური ფილმების სტუდიამ გამოუშვა სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების 40 წლისთავისადმი მიძღვნილი კინონარკვევები.

ერთ-ერთ მათგანს ეწოდება „ვარდისფერი ქალაქი“. ეს არის მოთხრობა დღევანდელ ერევანზე — ახალ სოციალისტურ ქალაქზე.

კინონარკვევი შექმნეს: სცენარისტმა ბარსეღიანმა, რეჟისორმა ბალასანიანმა, ოპერატორმა ოვანესიანმა. ეკრანზე ერთმანეთს ცვლის კადრები, რომლებიც ლამაზი ფერებით აცნობენ მაყურებელს სომხური ეროვნული ხუროთმოძღვრების საუკეთესო ნიმუშებს, ერევნის ღირსშესანიშნაობებსა და წარმატაც კუთხეებს.

კანაკერის ლამაზ პლატოზეა ქალაქის „ჩრდილოეთის კარი“, რომელსაც მომძმე საქართველოს დედაქალაქის 1500 წლისთავის აღსანიშნავად ერევნელებმა საყვარულით უწოდეს თბილისის ბაზტკეცილი. ამჟამად დასასრულს უახლოვდება ამ ჭუჭის — ერევნის ერთ-ერთი მთავარი და ულამაზესი მაგისტრალის რეკონსტრუქცია.

თბილისის გზატკეცილის სიგანე 50 მეტრია. მეგობრობის ტრასას ამკობს მრავალსართულიანი ახალი ვარდისფერი სახლები, კულტურულ-საგანმანათლებლო და სამედიცინო დაწესებულებათა კორპუსები, სავაჭრო საწარმოები. მაგისტრალის ორივე მხარეს და შუაში გაშენებულია ლამაზი გაზონები, რგავენ დეკორაციულ მცენარეებს. სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავისა და მომძმე ხალხთა მეგობრობის აღსანიშნავად აქ, ქალაქის მისადგომებზე, დაიდგმება დიდებული ობელისკი.

თბილისელი სპეციალისტები — „კავპიპროტრანსის“ ინსტიტუტის თანამშრომლები შეუდგნენ ერევან-რაზდანის რკინიგზის ელექტროფიკაციის პროექტის შემუშავებას. ელექტროფიკაცია რამდენჯერმე გააოდენებს გზის გამტარუნარიანობას, შეამცირებს ტრანსპორტის მოძრაობისათვის საჭირო დროის ხარჯვას. ამასთან დაკავშირებით ისინი სწავლობენ ტვირთბრუნვას ერევან-რაზდანის ხაზზე, ამ უბანზე განლაგებულ სამრეწველო საწარმოებს, ადგილის რელიეფს და ა. შ.

სომხეთის მშრომელები დიდ ინტერესს იჩენენ მოძმე ქართველი ხალხის კულტურისა და ლიტერატურისადმი. რესპუბლიკის მეთხველთა საზოგადოებრიობის მზარდი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად სომხეთის სახელმწიფოო გამომცემლობა „აიპეტრატი“ წლითიწლობით ზრდის თარგმნილი ლიტერატურის გამოშვებას.

ერევნის წიგნის მაღაზიებში ამას წინათ გამოჩნდა ახალი წიგნი, ქართველი მწერლის კ. გამსახურდიას რომანი „დედოსტატის მარჯვენა“ (ს. ავჩიანის თარგმანი). სომეხ მკითხველებს შესაძლებლობა მიეცათ დედაენაზე გაეცნონ სულხან-საბა ორბელიანის — „სიბრძნე სიცრუისას“ (თარგმანი ა. მურავლიანისა).

სომეხ მწერალთა ჯგუფი თარგმნის „ქართული ლიტერატურის ანთოლოგიას“, რომელიც 1961 წლის დამდეგს გამოვა.

ერევნის ყვავილების მაღაზიებში დიდი გამოცოცხლებაა. ბათუმიდან და ათონიდან გასაყიდად მიღებულია დიდძალი დეკორაციული მცენარეები. ამ ყვავილებით ამკობენ ერევნელთა ბინებს, კლუბებს, აგრეთვე საწარმოებისა და დაწესებულებების, კულტურის კერების დარბაზებს.

ს. გრიგორიანი.

ქ. ერევანი.

1960 წლის 17 ნოემბერს შედგება **საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის გაერთიანებული სესია,** მიძღვნილი **სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავისადმი.**

სესია ჩატარდება მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის სხდომათა დარბაზში (რუსთაველის პროსპექტი 29). დასაწყისი დღის 11 საათზე. შესვლა მოსაწვევი ბარათებით.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესია

სსრ კავშირის წარმომადგენლის ამხ. მ. ი. კუჭავას გამოსვლა რეზოლუციის პროექტის გამო არათვითმმართველი ტერიტორიების შესახებ

საერთაშორისო დეკეულები, ცნობები, მიმოხილვა — ცხოვრება

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეოთხე კომიტეტის განსახილველად შეტანილ იქნა პროექტი რეზოლუციისა პორტუგალიისა და ესპანეთის მიერ არათვითმმართველი ტერიტორიების შესახებ ინფორმაციის გადაცემის თაობაზე. მეოთხე კომიტეტის სხდომაზე გამოვიდა სსრ კავშირის წარმომადგენელი ამხ. მ. ი. კუჭავა, რომელმაც განაცხადა, რომ ამ პროექტმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა ტექსტთან შედარებით, რომელიც თავდაპირველად იყო დაფორმულებული და განხილეს დელეგაციებმა, რომ რეზოლუციის მეტად ზომიერმა და არასაკმაო პირვანდელმა პროექტმა განიცადა ისეთი ცვლილებები, რომლებმაც მას გამოაცალეს ძირითადი შინაარსი და ამის გამო საბჭოთა დელეგაციას არ შეუძლია მხარი დაუჭიროს პროექტს.

ჩვენ სამწუხაროდ მიგვაჩნია, თქვა ამხ. მ. ი. კუჭავამ, რომ პირვანდელი ტექსტიდან ამოღებულია სარეზოლუციო ნაწილის მეტად დიდმნიშვნელოვანი პირველი პუნქტი, რომლითაც, ეუბნაშენ ყოველისა, დაინტერესებულია პორტუგალიისა და ესპანეთის კოლონიების მკვიდრი მოსახლეობა. სახელდობრ: დებულება იმის შესახებ, რომ საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას მკვიდრი მოსახლეობის დემოკრატიული პოლიტიკური საქმიანობის თავისუფლება, რათა პორტუგალიისა და ესპანეთის კოლონიებს საშუალება მიეცეთ მოიპოვონ დამოუკიდებლობა.

ჩვენ მიგვაჩნდა და მიგვაჩნია, რომ პირველი პუნქტი გმობდა პორტუგალიისა და ესპანეთის კოლონიებში მკვიდრი მოსახლეობის მიმართ კვლავ არსებულ თვითნებობისა და ძალადობის რასისტულ რეჟიმს და პორტუგალიისა და ესპანეთის მთავრობებისაგან მოითხოვდა დაუყოვნებლივ მიიღონ ღონისძიებანი, რათა უზრუნველყონ დემოკრატიული პოლიტიკური საქმიანობის თავისუფლება, სრულიად შეწყვიტონ კოლონიური ადმინისტრაციის რეპრესიული მოქმედება მკვიდრი მოსახლეობის დემოკრატიული ორგანიზაციებისა და მათი წარმომადგენლების მიმართ. ჩვენ მიგვაჩნდა, რომ მეოთხე კომიტეტის ხმების უმრავლესობით ამ პუნქტის მიღების შედეგად პორტუგალიისა და ესპანეთზე მოახდენენ საზოგადოებრივ ზეგავლენას და ისინი იძულებული იქნებიან საპატიმროებიდან გაათავისუფლონ დემოკრატიული მოღვაწეები, შეასუსტონ სამხედრო და პოლიციური დაბრკოლებები, რომლებიც ხელს უშლიან ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობის განვითარებას როგორც ამ ტერიტორიების ფარგლებში, ისე აფრიკის ცალკეულ რაიონებში.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი ასეთი გაგება ემთხვეოდა განმარტებას, რომელსაც რეზოლუციის პირვანდელი პროექტის პირველ პუნქტს აძლევდნენ მისი ავტორები. ჩვენ ხომ მოვისმინეთ აქ, კომიტეტში, მკაფიო, მამხილებელი სიტყვები, რომლებსაც მეოთხე კომიტეტში წარმოთქვამდნენ განის, გვინეის, ინდოეთისა და სხვათა წარმომადგენელნი, რომლებმაც პორტუგალიელ და ესპანელ კოლონიზატორთა დანაშაულებრივი საქმიანობის მრავალი დამამტკიცებელი საბუთი მოიყვანეს.

დელეგატების გამოსვლები შეიცავდნენ მრავალ და დამაჯერებელ მონაცემებს, რომლებიც აშკარავებენ ნამდვილ მდგომარეობას პორტუგალიისა და ესპანეთის კოლონიებში. ამ საფუძველზე მათ გააკეთეს სავსებით სამართლიანი დასკვნა, რომ საჭიროა ბოლო მოეღოს ესპანეთისა და პორტუგალიის უხეშ კოლონიურ პოლიტიკას.

რეზოლუციის პროექტის გადასინჯული ტექსტი სრულიად არასაკმაოა, განსაკუთრებით, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ თვით ცხოვრებამ დასვა დღის წესრიგში კოლონიური სისტემის დაუყოვნებლივ და სრული ლიკვიდაციის საკითხი.

მეოთხე კომიტეტმა და გენერალურმა ასამბლეამ გადაჭრით უნდა დაგმონ ის, რომ პორტუგალია და ესპანეთი დაჟინებით უარს ამბობენ წარადგინონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ინფორმაცია თავიანთი კოლონიების შესახებ, აშკარად არ სურთ შეასრულონ გენერალური ასამბლეის წესდება და რეზოლუციები.

საბჭოთა დელეგაციას არ შეუძლია საამწუხაროდ არ მიიჩნიოს ის, რომ რეზოლუციის ახლანდელი პროექტი გაცილებით უფრო სუსტია პირვანდელ ტექსტთან შედარებით. როგორც ჩანს, ამ პროექტის თანავტორებზე ზეგავლენა მოახდინეს კოლონიურმა სახელმწიფოებმა და კომპრომისისა და „ერთსულოვნების" მიღწევის ინტერესებისათვის მიიღეს შესწორებები, რომლებმაც მნიშვნელოვნად შეამცირეს რეზოლუციის ხსენებული პროექტის ღირებულება და პრაქტიკული ეფექტი.

საბჭოთა დელეგაცია დარწმუნებულია, რომ ამჟამად საჭიროა ვეცადოთ არა იმას, რომ წარმოადგინონ მეტად საეჭვო ღირებულების რაღაც ინფორმაციაა, არამედ მტკიცედ მოვითხოვოთ პირობების შექმნა პორტუგალიისა და ესპანეთის კოლონიების დაუყოვნებლივ და სრული განთავისუფლებისათვის.

ამ კოლონიებში კოლონიური რეჟიმის შენარჩუნებას არაფერი არ მოაქვს ხალხებისათვის, გარდა ახალი ტანჯვისა. კაცობრიობის სინდისი, როგორც ეს, არავითარი ეჭვი არ არის, აღიარა ბევრმა დელეგაციამ ამ საკითხის განხილვის დროს (მალი, განა, გვინეა) ვერ შეურიგდება იმას, რომ მე-20 საუკუნის შუახანებში კვლავ არსებობდეს უცხოელების მიერ ხალხთა დამონებისა და ჩაგვრის სამარცხვინო სისტემა. დიდი ხანია დროა, რომ პორტუგალიისა და ესპანეთის წარმომადგენლებმა, ისე როგორც სხვა კოლონიური სახელმწიფოების წარმომადგენლებმა შეიგნონ, რომ მათი დრო წავიდა.

თავისი გამოსვლის დასასრულს ამხ. მ. ი. კუჭავამ განაცხადა, რომ თუ კოლონიზატორებმა ვერ შეიგნეს ისტორიული აუცილებლობა და არ წავიდნენ თავიანთი კოლონიებიდან, თუ მათ განაგრძეს ჯიუტობა, ხალხები გააცამტვერებენ ყოფილი კოლონიური იმპერიების ყველა ნაშთს, ხოლო ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხისა და სახელმწიფოს სიმპათიები, ცხადია, კოლონიების ხალხთა მხარეზე იქნება.

(საკდესი).

გვატემალის ამბები

ნიუ-იორკი, 14 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ამერიკის საინფორმაციო საგენტოები გვატემალიდან იუწყებიან, იქ გუშინ ერთსა და იმავე დროს სამ პუნქტში იფეთქა აჯანყებამ იდიგორას ფუენტესის მთავრობის წინააღმდეგ. აჯანყებულნი, რომლებსაც ახალგაზრდა ოფიცრები მეთაურობენ, თავს დაესხნენ მატამოროსის სიმაგრეს, რომელიც დედაქალაქ გვატემალის ახლო მდებარეობს, აგრეთვე ხელთ იგდეს ქალაქები საკაპა და პუერტო-ბარიოსი.

პრეზიდენტმა იდიგორას ფუენტესმა განაცხადა, რომ პუერტო-ბარიოსისა და საკაპის ფორტები და აეროდრომები მთავრობის ავიაციის თავდასხმების შედეგად დანგრეულია. აჯანყებულებთან მთავრობის ჯარების შეტაკებათა შესახებ არაფერს იუწყებიან. მთავრობამ მთელ გვატემალაში შემოიღო საალყო წესები, ხოლო ქალაქ გვატემალაში — დამატებით კომენდანტის საათი. შემოღებულია აგრეთვე პრესისა და რადიოს უმკაცრესი ცენზურა.

ჰავანა, 15 ნოემბერი. (საკდესი). უკანასკნელი ამბები გვატემალასა და ნიკარაგუაში, სადაც იფეთქეს მთავრობის საწინააღმდეგო შეიარაღებულმა გამოსვლებმა, მოწმობენ, რომ იზრდება ამ ქვეყნებში ანტიხალხური და პროიმპერიალისტური რეჟიმების არაპოპულარობა. ავანტიურისტული პოლიტიკა სომოსას მთავრობისა და ნიკარაგუაში და იდიგორას ფუენტესის მთავრობისა გვატემალაში, რომლებმაც თავიანთი ქვეყნები ხელში ჩაუგდეს ამერიკის მონოპოლიებს და ახლა გამოდიან როგორც იმპერიალიზმის მორჩილი იარაღი მის იერიშებში კუბის რევოლუციის წინააღმდეგ, ნიკარაგუასა და გვატემალის ხალხების მრისხანე პროტესტს იწვევს.

როგორც პრესის ცნობებიდან ჩანს, ამ ბოლო დროს ნიკარაგუაში შესამჩნევია მუშათა მოძრაობის აღმავლობა. იქმნება მასობრივი ორგანიზაციები, რომლებიც მიზნად ისახავენ ბრძოლას არსებული მდგომარეობის შეცვლისათვის, იმპერიალისტური ძალმომრეობის ლიკვიდაციისათვის, დემოკრატიულ გარდაქმნათა განხორციელებისათვის. ერთ-ერთი ყველაზე დიდი ასეთი ორგანიზაციაა „პატრიოტული ახალგაზრდობა", რომელიც აერთიანებს რამდენიმე ათას კაცს. ამ ორგანიზაციებში შედიან რევოლუციურად განწყობილი სტუდენტები, ახალგაზრდა მუშები, გლეხები, მოსახლეობის წვრილბურჟუაზიული ფენების წარმომადგენლები.

ფართოვდება ხალხის საპროტესტო მოძრაობა გვატემალაში. როგორც გაზეთ „რევოლუსიონს" განუცხადა გვატემალის ყოფილმა პრეზიდენტმა იაკობო არბენსმა, იდიგორას ფუენტესის მთავრობის პოლიტიკისადმი ხალხის წინააღმდეგობის ზრდა აიხსნება უწინარეს ყოვლისა გვატემალელ მშრომელთა სასოწარკვეთილი მდგომარეობით. მთავრობის წინააღმდეგ ილაშქრებენ გვატემალის არმიის ზოგიერთი წრეებიც, იდიგორას ფუენტესის მთავრობა, ხაზგასმით აღნიშნა არბენსმა, მორჩილად ემსახურება ამერიკის მონოპოლიებს. იგი შეურაცხყოფს გვატემალის ღირსებას, საშუალებას აძლევს შეერთებულ შტატებს მომზადონ გვატემალის ტერიტორიაზე თავდასხმა კუბის წინააღმდეგ.

გვატემალიდან და ნიკარაგუადან მიღებული ცნობები მოწმობენ აგრეთვე, რომ ამ ქვეყნების მთავრობები ცდილობენ ჩაახშონ ხალხის წინააღმდეგობის მზარდი მოძრაობა. ამ ქვეყნებში საალყო წესების შემოღება შესაძლებლობას აძლევს მათ მთავრობებს გააძლიერონ რეპრესიები მთელი ოპოზიციური, დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ, ახალი შეტევა მოაწყონ მუშათა მოძრაობისა და პროგრესული ორგანიზაციების წინააღმდეგ. ნიკარაგუას შინაგან საქმეთა მინისტრმა სპეციალურ კომუნიკეში გამოაცხადა, რომ „პატრიოტული ახალგაზრდობის" ორგანიზაციისა და ნიკარაგუას სხვა ოპოზიციური ძალების წინააღმდეგ მიღებულ იქნება მკაცრი ღონისძიებანი.

„თეთრი წიგნი" იუწყება...

ლონდონი, 14 ნოემბერი. (საკდესი). პროექტი ინგლისისა და ნიგერიის შეთანხმებისა თავდაცვის შესახებ, რომელიც დღეს გამოქვეყნდა „თეთრი წიგნის" სახით, გვიჩვენებს, რომ ინგლისი ისწრაფვის თავს მოახვიოს აფრიკის ამ ახალგაზრდა ქვეყანას შეთანხმება, რომელიც სერიოზულად შებღალავს ნიგერიის სუვერენულ უფლებებს. შეთანხმება თვალსაჩინებს ორივე ქვეყნის შეიარაღებული ძალების „უმჯობიროს თანამშრომლობას". ინგლისს ეძლევა ნიგერიის ტერიტორიაზე სამხედრო თვითმფრინავების გადაფრენისა და დაჯდომის შეუზღუდავი უფლება. ასეთივე უფლება ეძლევა ნიგერიას. მაგრამ, რამდენადაც ამ ქვეყანას ჯერ არა ჰყავს სამხედრო ავიაცია, ეს უფლება ფიქტიურია.

ამერიკა აიარაღებს სამხრეთ კორეას

ფხენიანი, 15 ნოემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატები ვანაგრძობენ სამხრეთ კორეის არმიის შეიარაღებას.

როგორც სეულის რადიომ გადმოსცა, გუშინ სუვონის (სამხრეთ კორეა) სამხედრო-საჰაერო ბაზაში ამერიკელებმა სამხრეთ კორეის სამხედრო-საჰაერო ძალებს გადასცეს რაკეტის მატარებელი თვითმფრინავები, აგრეთვე „ფ-86" ავიაგამანადგურებლები და მზვერავი თვითმფრინავები.

მეორე ჩექმა

ამ ნახატით მხატვარი კანოვა იტალიურ გაზეთ „უნიტაში" კომენტარს უკეთებს დასავლეთ გერმანიის ჯარების განლაგებას იტალიის მიწა-წყალზე.

რევანშისტებმა თავი წამოჰყვეს

ბერლინი, 15 ნოემბერი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიაში გრძელდება რევანშისტთა გამოსვლები, რაც მიმართულია სოციალისტური ბანაკის ქვეყნების წინააღმდეგ. თავხედური მოთხოვნები პოლონეთის დასავლეთ რაიონების „დაბრუნების" შესახებ წამოაყენა „პომერანიის გერმანელთა სათვისტომოს" თავმჯდომარემ ეგერტმა. გამოვიდა რა ობერჰაუზენში, ამ რევანშისტმა განაცხადა: „პომერანია ჩვენ გვეკუთვნის", აგრეთვე მოითხოვა, რომ „ლიკვიდირებულ იქნას ოდერ-ნეისეს საზღვარი".

როგორც ადნის სააგენტო იუწყება, გამოვიდა რა ზოლნგენში, „აღმოსავლეთ და დასავლეთ პრუსიის" რევანშისტული სათვისტომოს ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა გრიმონიმ მოიწოდა „სამშობლოს განთავისუფლებისაკენ", და განაცხადა, რომ ეს „სათვისტომოს დიდი პოლიტიკური ამოცანაა".

„ახალწვეულები" დასავლეთ გერმანიის ქუჩებში

ბერლინი, 15 ნოემბერი. (საკდესი). დასავლეთ ბერლინის ხელისუფლები პროვოკაციული მიზნით ქმნიან პოლიციის ქვეგანაყოფებს. როგორც ადნის საგენტო იუწყება, დასავლეთ ბერლინის ეგრეთწოდებული „დამხმარე პოლიციის" პირველი ქვეგანაყოფის (რომლის რაოდენობა დაახლოებით ერთი ასეულია და რომელსაც დასავლეთ ბერლინის სენატი ქმნის) სწავლება დასასრულს უახლოვდება. ამ ქვეგანაყოფისათვის უკვე გამოყოფილია საჭირო შეიარაღება.

საგენტო შემდეგ აღნიშნავს, რომ რამდენიმე დღის წინ დაიწყო „დამხმარე პოლიციის" მეორე ქვეგანაყოფის მომზადება. „ახალწვეულებს" ასწავლიან პისტოლეტის, კარაბინისა და ტყვიამფრქვევის სროლას, აგრეთვე ქუჩის ბრძოლის წარმოებას.

ყველა ღონისძიება, რომლებიც დაკავშირებულია დასავლეთ ბერლინის პოლიციის ქვეგანაყოფების შექმნასთან, უაღრესად საიდუმლოდ ხორციელდება.

„მიხაკისფერი ჭირი"

გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" კორესპონდენტი გრუსონი ბონიდან იუწყება, რომ საფრანგეთმა და დასავლეთ გერმანიამ თითქმის დაამთავრეს მოლაპარაკება საფრანგეთში დასავლეთ გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალების ორი ბაზის შექმნის შესახებ — კორსიკაზე და ისტრში. ფიქრობენ, რომ კორსიკაზე ბუნდესვერს ექნება 50 თვითმფრინავი.

„მიხაკისფერ ჭირს" ჰიტლერელ ოკუპანტებს უწოდებდნენ. მიხმა გახსენებამ ხომ არ აიძულა ფრანგი ოფიცერი, რომელსაც ამ სურათზე ხედავთ, ასეთი სიფრთხილით გაიაროს ბუნდესვერელთა შუა საფრანგეთში უკვე არსებულ ერთ-ერთ დასავლეთგერმანულ ბაზაში? როგორც ჩანს, მურმელონში და საფრანგეთის სხვა ქალაქებში, რომლებმაც ახალი გერმანული ოკუპაცია განიცადეს, ახლა მდგომარეობის ბატონ-პატრონები ფრანგები არ არიან.

ფოტო ფრანს პრესის სააგენტოსი.

სუვანა ფუმა შეშფოთებულია

ნიუ-იორკი, 14 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ვიენტიანიდან იუწყება, პრემიერ-მინისტრმა პრინცმა სუვანა ფუმამ განაცხადა, რომ მან გასცა ბრძანება მეამბოხეებისაგან გაათავისუფლონ სამეფო დედაქალაქი ლუან-პრაბანი.

„არ შემიძლია იმის თქმა, — განაცხადა მან, — თუ რა სამხედრო ღონისძიებებს ვგეგმავთ. მაგრამ მდგომარეობის ჩრდილოეთში კონტროლს უწევს მთავრობა. ჩვენ ვახორციელებთ ღონისძიებებს, რათა დავიბრუნოთ ლუან-პრაბანი".

როგორც უკვე ვიუწყებოდით, 11 ნოემბერს ლუან-პრაბანის სამხედრო გარნიზონმა უღალატა სუვანა ფუმას მთავრობას და მიემხრა ვენერლის ფუმი ნოსავანის მხარეზე გადავიდა.

ნადირობა მეამბოხეებზე

ჰანოი, 14 ნოემბერი. (საკდესი). ნგო დინ დიემმა ჩააქრო არმიის ოფიცერთა ამბოხება და შემდეგ სასტიკი რეპრესიები დაიწყო თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა მიმართ. მთელ საიგონში ამჟამად ნამდვილი ნადირობაა ამბოხების მონაწილეებზე, ამასთან მეამბოხეების დასჯის საბაბად რეპრესიებს მიმართავენ აგრეთვე იმათ წინააღმდეგ, ვინც ასე თუ ისე უკმაყოფილებას გამოთქვამდა ნგო დინ დიემის დესპოტური მართვის გამო.

იუწყებიან აგრეთვე, რომ დღეს ნგო დინ დიემის ხელისუფლებამ დახურეს საიგონის 5 გაზეთი, რომლებმაც ერთ დროს გამოაქვეყნეს მთელი რიგი კრიტიკული შენიშვნები მთავრობის მიმართ.

საბჭოთა სპორტსმენების ბრწყინვალე გამარჯვება

რიო-დე-ჟანეირო, 15 ნოემბერი. (საკდესი). ბრაზილიაში მსოფლიო ჩემპიონატი ფრენბურთში დამთავრდა საბჭოთა სპორტსმენების ბრწყინვალე გამარჯვებით. სსრ კავშირის ქალთა და ვაჟთა გუნდები მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ.

ვაჟთა გუნდების შეჯიბრების უკანასკნელ დღეს ჩვენმა ფრენბურთელებმა ანგარიშით 3:1 დაამარცხეს ბრაზილიის გუნდი. ამრიგად, საბჭოთა ფრენბურთელებმა ტურნირი დამთავრეს დაუმარცხებლად, მათ თანამიმდევრულად მოუგეს იაპონიის, ამერიკის შეერთებული შტატების, ვენესუელის, უნგრეთის, პოლონეთის, საფრანგეთის, რუმინეთისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდებს.

ასე იხსნეს სიცოცხლე

ოქტომბრის მზიანი ამინდი იდგა გაგრაში. დამსვენებლები ჩვეულებრივ გავდნენ ზღვაზე, მაგრამ, ვინაიდან ზღვის ღელვა ხამ ბალს აღწევდა, ბანაობა არ შეიძლებოდა. მიუხედავად ამისა, ლენინგრადიდან დასასვენებლად ჩამოსული ქალი მ. ხრისტინიუკი არ შეუშინდა ტალღებს და გადაეშვა ზღვაში ხაბანაოდ. ღელვა კი თანდათან ძლიერდებოდა და ქალმა ნაპირზე გამოსვლა ვეღარ შეძლო, მას სიკვდილი ემუქრებოდა.

ერთმა ახალგაზრდამ გადაწყვიტა დახმარებოდა ქალს და გაცურა ზღვაში, მივიდა კიდეც მასთან, მაგრამ შველა ვერ შეძლო. ახლა უკვე ორი ადამიანი იღუპებოდა. მათს დასახმარებლად ხამი ახალგაზრდა გადაეშვა. მაგრამ მათი ცდაც ამაო აღმოჩნდა და თვითონაც საფრთხე შეექმნათ. ამრიგად, უკვე ხუთი ადამიანი ებრძოდა ზღვას.

უნდა გენახათ, ზღვის ტალღები როგორ აწყვეტდნენ აქეთ-იქით ამ ხუთ ადამიანს. თუ პირველ ხანებში ღელვა ხამ ბალს აღწევდა, შემდეგ თანდათანობით ეჭვს ბალამდე ავიდა. გამოიძახეს სასწრაფო დახმარების კატერი, მაგრამ იგი არ აღმოჩნდა ადგილზე. ნაპირზე თავმოყრილმა ხალხმა გადაუგდო ათი მეტრი სიგრძის მორი, რომ ზღვასთან ბრძოლით დაქანცულები ჩაბღაუჭებოდნენ მას.

ეს ამბავი ხდებოდა ვერტმფრენის დასაჯდომი სადგურის მახლობლად. აი გამოჩნდა ხოხუმდან მომავალი ვერტმფრენი. ხალხმა ვერტმფრენის ეკიპაჟს ხთხოვა დახმარება აღმოეჩინა ზღვის ტალღებში მომწყვდეული ადამიანებისათვის. უფროსი პილოტი ვ. კუზიუტინი და მეორე პილოტი ვ. მაქსიმოვი ვერტმფრენით სასწრაფოდ ავიდნენ ჰაერში, დასაღუპად განწირული ადამიანების თავზე გაჩერდნენ, ჩაუშვეს ზღვაში თოკის კიბე და ჯერ ქალი და ერთი კაცი ამოიყვანეს ზღვიდან და გაიყვანეს მიწაზე, ხოლო შემდეგ მობრუნდნენ ხელმეორედ და სამი კაცი გამოიყვანეს.



პილოტები ვ. კუზიუტინი და ვ. მაქსიმოვი „დოსაიფის" გაგრის რაიკომმა სიგელებით დაჯილდოვა.

რ. მიქელაძე.

20 წლის შემდეგ...

ახლა ისეთი გახარებული ვარ, რომ ჩემი სიხარული მინდა ყველას გავუზიარო — 20 წლის დამორების შემდეგ ვიპოვნე ჩემი ქალიშვილი, რომელიც დავკარგე ომის დროს.

1937 წლიდან ვცხოვრობდი და მასწავლებლად ვმუშაობდი ჩაქვში. ომის დაწყების წინ ჩემი მეუღლე ორი წლის ლიდათი წავიდა ნათესავებთან ნოვგოროდში, სადაც ომმა მოუსწრო, მე გაწვეულ ვიქენი ჯარში. ომის განმავლობაში ჩემი მეუღლე დაღუპულა ტყვეობაში, შვილი კი ბევრი ვეძებე, მაგრამ მის კვალს ვერ მივაგენი. იგი კი თურმე გადარჩენილა, ვუძებნივარ და სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს საშუალებით მიპოვნა კიდეც.

მინდა მადლობა გადავუხადო ქობულეთის რაიონის სამხედრო კომისარს გვარდიის პოდპოლკოვნიკ ძნელაძეს და მაიორ გორდაძეს იმ მხურვალე მონაწილეობისათვის, რომელიც მათ მიიღეს ჩემი ქალიშვილის პოვნაში.

ახლა ჩემი ლიდა ჩემთან არის სტუმრად. იგი მასწავლებლად მუშაობს ბელორუსიაში. კეთილმა ადამიანებმა გაზარდეს იგი და გზაზე დააყენეს.

თადარიგის ოფიცერი
ვ. პროშინი.

ქობულეთი.

სახალხო თეატრების დათვალიერება

„ამაღლებული სოფელი"

ამ დღეებში ზუსტაფონის ხარაიონო კულტურის სახლთან არსებულმა თვითმოქმედმა თეატრალურმა კოლექტივმა რკინიგზელის სახლში წარმოადგინა ვ. კანდელაკის ოთხმოქმედებიანი კომედია „ამაღლებული სოფელი".

წარმოდგენა დადგა რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა მ. ვაშაძემ. მხატვარია გ. ბაკურაძე, მუსიკა დაწერა ზ. ლოლაძემ.

წარმოდგენაში მონაწილეობდნენ ავტორნიმი ი. ქლიბაძე, მუშა კ. გოგლაჩიძე, დიასახლისი ა. არაბიძე, თადარიგის ოფიცერი ა. ბაბუაძე, მებაიანე ლ. თავაძე და სხვ.

სურათზე: სცენა ზუსტაფონის თვითმოქმედი თეატრალური კოლექტივის წარმოდგენიდან — „ამაღლებული სოფელი".

ფოტო ბ. დადვაძისა.

თბილისის დინამოელები ფეხბურთის სამშობლოში

ინგლისის გაზეთები დინამოელთა შესახებ

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, თბილისის დინამოელებმა მესამე მატჩი წაგებეს ინგლისის ცნობილ გუნდთან „ტოტენჰემ ჰოტსპურთან", აი რას წერენ ამ თამაშის შესახებ ინგლისის გაზეთები.

„ტაიმსი"

შესაძლოა, თბილისხის „დინამო" ყველაზე უკეთესი გუნდი არ იყოს საბჭოთა კავშირში. მან მერვე ადგილი დიაკავა საბჭოთა კავშირის პირველობის გათამაშებაში და წაადო სსრ კავშირის თასის გათამაშების ფინალში, მაგრამ დინამოელთა თამაში, როგორც მათ ეს ინგლისში გვიჩვენეს, დამყარებულია ერიშზე. ის ფაქტიც, რომ თბილისხის დინამოელებმა ყველაზე მეტი ბურთი გაიტანეს საბჭოთა კავშირის პირველობის გათამაშებაში, მოწმობს ამას.

რა თქმა უნდა, კარგია თამაშის აგება ერიშზე, მაგრამ მარტო ეს როდია საჭირო. მაშ რა არის საჭირო? შეიძლება გაუშვა შენს კარში ხუთი ბურთი, თუ შეგიძლია მოწინააღმდეგის კარში ექვსი საპასუხო ბურთი გაიტანო. მაგრამ ქართველი ფეხბურთელები ამახათვის საკმაოდ ძლიერები არ აღმოჩნდნენ. უეჭველია, გუნდში არიან მთელი რიგი ჭკვიანი ფეხბურთელები — დოლობერიძე, კალოევი, მესხი, თორაძე, კოტრიკაძე, მაგრამ მათ და მათს ამხანაგებს არ ჰყოფნიდათ სიმტკიცე და შეუპოვრობა.

რბილ, სველ გრუნტზე, რომელსაც უხვად ჰქონდა მოყრილი ქვიშა, ინგლისელებმა გვიჩვენეს ცოცხალი, სწრაფი შემოქმედებითი ფეხბურთი, რომელიც ქართველ ფეხბურთელებს აიძულებდა დაცვაზე გადასულიყვნენ.

მეჩვიდმეტე წუთზე პირველი ბურთი გაიტანა ინგლისელთა მარჯვენა გარეთ-ბმა, მაგრამ იქვე დინამოელებმა „გოლ უპასუხეს. ამის შემდეგ თბილისელთა კარში შეიძლება გასულიყო მეორე ბურთი, მაგრამ კოტრიკაძე გაბედულად ჩაუვლიდა ფეხებში წინ გაჭრილ თავდამსხმელებს და გადაარჩინა კარი.

პირველი 30 წუთის შემდეგ, როცა რთველმა ფეხბურთელებმა დაიწყეს ხიფათო ერიშების მოტანა ინგლისელთა კარზე, კიდევ ერთი საფრთხე შეეხო „დინამოს" კართან, მაგრამ ცენტრალმა მცველმა თორაძემ ბურთი თავით მოიტანა თავის კარიდან.

ამას იქვე მოჰყვა დინამოელთა სწრაფი ერიშები. მესხი მოსწყდა თავის მცველს და კარის გასწვრივ დაბლა გაგზავნა ბურთი, რომელსაც მიუსწრო მელაშვილი და დაარტყა კარში. მეკარე ბარაული რობატული ნახტომი რომ არა, მესხი აგდებდა თანამგზავრს ინგლისელთა კარში მარცხენა ფეხის ძლიერი დარტყმა ეს საოცარი დარტყმა იყო.

ტაიმის შედეგი იყო 2 : 1 ინგლისელთა სასარგებლოდ.

შესვენების შემდეგ ინგლისელებმა ჯერ კიდევ სამი ბურთი გაიტანეს. ბარაბაიმ თამაშში თავისი უკანასკნელი სიტყვა თქვა, როცა თამაშის დამთავრებამდე ოთხი წუთის წინ ბურთი შეაგდო ინგლისელთა კარში.

„დეილი მირორი"

დინამოელებმა ვერ გვიჩვენეს ვირტუოზული ტემპერამენტი, ვერც შეუპოვრობა, რომ თაც ისინი ბრწყინავდნენ მეორე შუალედში. ეს იგივე გუნდი იყო, რომელიც „მგლებს" შეხვდა, მაგრამ სულ სხვანაირად თამაშობდა.

* * *

ინგლისური გაზეთები განსაკუთრებით აღნიშნავენ კოტრიკაძის, თორაძის, ბარაბაიას და ბარქაიას თამაშს.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოში

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა დაადგინა ქალაქ თბილისში აცივებასთან დაკავშირებით ნოემბრიდან დაიწყოს საცხოვრებელი ხლების, სკოლების, სამკურნალო დაწესებულებების, სასამსახურო და სამეცნიერო შენობების სისტემატური გათბობა.

17 და 18 ნოემბერს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, ხანაპირო რაიონებში ალაგ-ალაგ მცირე წვიმა, ხუსტი ქარი; ტემპერატურა ღამის 6-11, დღისით 14-19 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში — ცვალებადი მოღრუბლულობა, უმეტესად უნალექოდ, ხუსტი ქარი; ტემპერატურა ღამის 1-6, დღისით 12-17 გრადუსი სითბო.

ამინდი

რედაქტორი
დ. მჟედლიშვილი.

16 ნოემბერი

თეატრები: ს. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — ალი (ბ.-12 აბონ. მე-2 წარმ. დასაწყ. 7 ს. 30 წ.), მარჯანიშვილის სახელობის — დამოკლეს მახვილი (დასაწყ. 7 ს. 30 წ.), გრიბოედოვის სახელობის — ირკუტსკის ისტორია (დასაწყ. 7 ს. 30 წ.), სანკულტურის — იუპიტერი იცინის (აბონ. გარეშე), მოზარდ მაყურებლისა ქართული — გიქორი (აბონ. № 55, 5 ს.), თოჯინების ქართული — ტყუპ საათი (11 ს.), ქაჯანა (4 ს.), რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზი — ჯ. ლონიციანის (ბარიტონი) კონცერტი (დასაწყ. 8 ს.), ცირკი — დიდი საცირკო წარმოდგენა, ატრაქციონი „გოლიათი სპილოები" (დასაწყ. 8 ს.).

ჩვენი მისამართი და ტელეფონები:

თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80. სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-57-61, სოფლის მეურნეობის — 3-32-46. მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, წერილების — 3-73-24, ინფორმაციის — 3-16-90, საილუსტრაციო — 3-20-48, მუშა ოფლკორთა კაბინეტის — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42.

УЕ 07905

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.